მე შევეცდები დავიყვანო მტკიცება ახალ თეორიამდე რომელსაც მე უწოდე —„დაბრუნებული მოქმედება“, ეს გარდა იმისა რომ ალიტერაციულია—მობრუნებულ შემოქმედების—ავსებს მას თავისი დაპირისპირებით და რასაკვირველია ეს ფუტურიზმის პრაქტიკის შემდეგ გამოგონებაა. ამ თეორიას არ მოაქვს ის რასაც რუსები ეძახიან—самовитость слова—ან კიდევ რომელიმე დასრულებული იდეალი სახურავებზე ასვლის. აქ არის გამიზნული მასალა რომელიც გამოდის მხატვრობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რომელიც მოითხოვს პასუხს, ეს არის სიტყვა—**ნახტომი**. გრაფიკა მაშინ ხდება ერთად ერთ საშვალებათ. წუთი მოძრაობის ქანდაკება, მეტი სისწრაფით, (თუ უკანასკნელს შეხვდა მხატვრობა) ჩნდება კინოქანდაკება. ეს არის უკანასკნელ ხაზამდე დაყვანილი ეკონომიკა, რომელზედაც ლიტერატურა შეედავება თავისივე თავს. აქ ჩნდება მეორე პოლიუსი, რომელიც იწვევს სივრცის დაკარგვას. ხმა არ უნდა დაიკარგოს, ჩნდება სიტყვა, რომელიც აერთებს 3 ბოლოს.

აქედან დაიბადა რუსულ ლიტერატურაში—„ზაუმ", ამიტომ იყო რომ მას მეტი მნიშვნელობა ქონდა, ვიდრე ეწოდება—ენის გადახალისება. რუსეთში დღესაც გამოურკვეველია კრუჩიონიხის სახე. მას ხშირად იღებენ როგორც დამწყებს, ხშირად ის გონიათ პოპრიშჩინის თევზი, რომელმაც ორი სიტყვა წამოისროლა ინგლისის ნაპირზე და სწავლულები აახმაურა, მაგრამ მის სიტყვებში ჩვენ ვხედავთ „ოთხკუთხოვან სულს."

ხლებნიკოვის სიტყვას აქვს დამახასიათებელი ხაზი. აქ ყოველთვის აღმოაჩენთ გრაფიკულ საზღვარს.

| УСМЕЙ | ОСМЕЙ | СМЕЙВО | СМЕШИКИ | СМЕЮНЧИКИ | СМЕХАЧИ |
|---|---|---|---|---|---|
| დიდი | მოგრძო | მინდორი | ქოლგას ამოფარებული | შუშაში ჩასმული | მათრახით ხელში |

ყველა ეს სიტყვები იზომება უსიტყვოთ და არსებობს შემოქმედება „ზაუმ", რომელიც არ ეძებს ახალ სიტყვებს. უმთავრესად ეყრდნობა მხატვრობას და ნივთების გადალაგებას. პირველ შემთხვევაში იყო ხმის გრაფიკა, აქ არის სურათი გრაფიკით. შესაძლებელია კიდევ მესამე—„დაბრუნებული მოქმედება" რიტმის. ჯამი გემოვნების მქონე ადამიანისთვის ერთი და იგივეა. მე შევჩერდები მეორე მაგალითზე. მხატვარ გამრეკელის სურათში „მე და ცირკი", **მე მოძრაობა მესმის და ვხედავ ხმას.** სივრცე ჯამბაზსა და მხატვარს შორის შემოკლებული, დაყვანილი ფორმების შენაერთებამდე იგივეა რაც „ზაუმ" რომელიც გრაფიკამდე მიდის. გრაფიკული მანერა და ერთფეროვანი გადალაგება ერთსა და იმავე დროს სისწრაფისა და სიმეტრიის დაცვით (ციკლიდან „ცირკი") მე მაძლევს საშუალებას წარმოვიდგინო ხმა „ჯამბაზი ტრაპეციებზე". დაბოლოს არ არის გაქვავებული მომენტი მხატვარსა და სურათს შორის, არის მხოლოდ განივთების პროცესი, რომელიც ერთის მხრივ უდრის მოძრაობას და მეორეს მხრივ ჟესტს და მასალის კომბინაციებს.

ასეთი ცდები ქონდათ ფრანგ-პოეტებს, ექსტრემისტებს. მათ ლექსში, ხშირად, მატროსი გეგონებათ ქალაქზე მიკრული და ბევრია ტრიუკი რომელიც მოითხოვს კინემატოგრაფის საშვალებით გადაწყვეტას. ეს არის საერთო, რაც ახასიათებს თანამედროვე პოეზიას, ამის გარშემო მოქმედებენ სტილი და კარიკატურა. აკრობატიკა მხოლოდ საშვალებაა ნივთების დალაგებისათვის. წარმოიდგინეთ ნივთი მოძრავი პირდაპირი კუთხეებით, ნივთი დამდგარი წებოზე და ნივთი მომენტალური გამოჩენის (კინოქანდაკება) ერთსა და იმავე განათების დროს თუ სამივე მოძრაობს, მხედველობისთვის არის სამი სივრცე, თუ რომელიმე მათგანი შეჩერდა სივრცე ჩამოდის ერთზე, როდესაც ორი ნივთის შეჩერება იწვევს მხოლოდ ერთი სივრცის დაკარგვას. ეს არის გრაფიკის კანონი, რომელიც მეორე მუხლია თეორიის „დაბრუნებული მოქმედება". თეორია იღებს საწყისს თუ გნებავთ შარლოდან. ფრანც ელლენსის რომანში „Melusine", გადმოცემულია ჩარლი ჩაპლინ—პროფესორ ლოშარლოშის სახით. ეს პროფესორი აარსებს ევროპის ყველა კუთხეებში მოძრაობის სკოლებს. ლოშარლოში იყენებს თავის მიზნისთვის მანქანებს და სხვა. ერენბურგის რომანში Трест Д. Е. არის ერთიანად კინემატოგრაფიული ამოძრავება. მოსპეთ მოძრაობა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანში, ან უბრალოთ გამოაკელით დეტალები მოძრაობას და სიუჟეტი დაიღუპება. სანდრარის პოემები წარმოუდგენელია იმ დეტალების გარეშე, რომელიც ახასიათებს კინემატოგრაფს. საფრანგეთის მოწინავე პოეტები იღებენ გაკვეთილებს კინემატოგრაფიდან. ეპშტეინ, დელლიუკ, რომენ. ახალი წარწერაა: „პოეზია და კინემატოგრაფი, განურჩევლათ სქესისა და მიმართულებისა" (საფრანგეთში ორი უკანაკნელი, ერთსა და იმავე როლს ასრულებენ) რუსეთის ლიტერატურისთვის ეს გადიქცა აუცილებლობათ. მაიაკოვსკის ბრძანებები (ყაზარმიდან გამოსვლის შესახებ), კრუჩიონის „Я сорвавшийся с петли", იქამდე პასტერნაკ დააყენებს ნივთების კორიანტელს, მაგრამ ხშირად ქარია: „меж тем как вихрь велосипедом, летал по комнатным комодам".

ასეევის და ტრეტიაკოვის პოეზიას აქვს **ყური და წყობა კინემატოგრაფიული მოქმედების**. ეს არის პირველი ინტერნაციონალური კომპანია რომელსაც აწარმოებს დღეს დღეობით ხელოვნება. აქ არ არის საშიში პლაგიატი და კრიზისი, რადგან პლაგიაციის კრიზისი წინასწარ აქვს გამონგარიშებული—დაბრუნებულ მოქმედების—თეორიას. თუნდაც წინაამდეგ შემთხვევისთვის შეიძლება პოეტმა თავი იგრძნო სიმაღლეზე, რომ ანგარიში გემოვნების არ ჩააბარო აუდიტორიას და ლექსები იწერება გემოვნების გამოაშკარავების მიზნით. ამ შემთხვევაში ეს ცილდება მკერავის ვალდებულებას. **და აი როდესაც ისე დავიღალეთ, რომ რომელიმე რომანის გაგრძელება საპატიოჭმიზეზათ ითვლება დასვენებისთვის, ადვილად დასანახავია—როგორ კრახს განიცდის ყოველი მისტიური მოფიქრება.** სულ უბრალო მაგალითი, რომლის მოწამე მე ვიყავი: ერთ გერმანულ ფილმას დაჭირდა ასი მეტრი—მისთვის რომ ინდოელ თავადს შეეჩერებინა ავტომობილი გიპნოზით. შესაძლებელი იყო ფილმას ამ შემთხვევაშიდაც მიემართა ტეხნიკისთვის. ეს ხომ გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მიმართო ტეხნიკას საზოგადოთ ხელოვნებაში, ეს არის ოსტატობა და **არა მანქანების რომანტიკით დაბრმავება.** უკანასკნელი გამოგონება გრინდელ მატიუსის—„მახრჩობელა სხივები" ყოველგვარ მისტიკის და გიპნოზის გარეშე აჩერებს მოტორს ერთი მინათებით. პოეტის თავმოყვარეობა და ერთფეროვანი ალერსი, რომელსაც ხშირად ემატება თემის დაუძლეველობა გახდა იმდენათ აუტანელი, რომ მხოლოდ ამ მიზეზით ბევრი უარს ამბობს ნივთების შემოქმედებაში გადატანაზე. ეს იმიტომ რომ მათ ყოველ მხრივ მობრუნებულ შემოქმედებას აკლდა—დაბრუნებული მოქმედება, შეიძლება მეხუთე კონსტრუქცია ან რომელიმე შეფარდება რიცხვის „3".

კოკტო ლაპარაკობს: ნაწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მუზებს—ამას მე ვეძახი დამტკიცებას 9-ს საშვალებით.

აქ მისაღებია მხედველობაში კოკტოს ვირტუოზობა და ჩემი რიცხვი არაფრით არ უკავშირდება მოყვანილ შეხედულებას.

მათ ვერ გაიგეს, რადგან იყვნენ მეტად პრინციპიალური და რასაკვირველია ახირებულ შემთხვევად მიაჩნდათ ნივთების პოეზიის კრახი. **საშვალება რომელსაც მიყავს ორგანიზაციამდე და შემდეგ შლის თვითონ მოძრაობას, ეს არის „დაბრუნებული მოქმედება" ტაქტი ქაოტიურ დალაგების, სტილისთვის ეს იქნება აკრობატიზმი.** ეს ერთად ერთი, რაც ამხელს საკვირველ საიდუმლოებას (ოსტატობა).

ფრანგი დადაისტები ტყუილად ცდილობენ დაფარონ ნივთი, თავიანთი მანიფესტებით ისინი მიდიან უკიდურესობამდე, განსხვავება შემდეგნაირია.

23

| განივთება | გასკამება |
|---|---|
| საგანი | მომქმედი |

ეს მიეწერება განსაკუთრებულ ბუნებას, რომლის გაზიარებაც ნიშნავს თავმოყვარეობის აღდგენას სისულელით. დადა სკამია, მაგრამ ის აპარატთან დგას კინოს უარმყოფელი ყურით. მას ესმის ყველა-

ფერი, დადა აფურთხებს, დადა ტყუის რომ ის თავს იხრჩობს—ის მხოლოდ იბერება, დადა უარყოფს პოეზიას, მაგრამ ის ვერ უარყოფს გემოვნებას, დადა უარყოფს მასალას გამიზნულს მაგრამ ის თითონ აშენებს (პერე, სუპო) რასაკვირველია ეს არ უდრის განწყობილებას, რომლითაც იქმნება პრინციპია-ლური მტკიცება: „ყური ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ“. აქ უკვე ყველაფერი თქმულია. დადა'ს აქვს ალოგიური კომპოზიცია, ამით ის უახლოვდება „დაბრუნებულ მოქმედები“-ს თეორიას, რომელსაც ევროპაში სხვა გაგებით ამოძრავებენ. დადა უკანასკნელი მოდის ფრაკს იცვამს და სოციალისტურ ორგანოში წერილს ათავსებს, დადა ყვირის თავის გარყვნილებაზე, მისთვის რომ ეს არ ახარებს ევროპიელის ხელოვნუ-რად გაბერილ კუნთებს და რეზინის ძუძუებს. აი რად არის დადა—dada.

ამიტომ იყო საჭირო გამოცხადება დიდი ტერორის. ფუტურიზმი ევროპაში არ ყოფილა ტერორი. მას არასოდეს არ უთქვამს პოეზიის წინააღმდეგ. ეს იყო პრინციპიალური მობრუნება, რაც შეეხება პოე-ზიის სიკვდილს, ეს საკითხი ევროპაში პირველად დასვა დადამ და შეიძლება ამიტომ **მოღვაწე-ობათას ჩამოვალა ჩერჩეტობა.** აქ იყო კიდევ რიტმის უბედურება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო განთავისუფლება. დაწყებული გედით და დათავებული მოძრავი ტროტუარებით, პოეზია იყო მხოლოდ რიტმი; აუტანელია ასეთი ფეხსაცმელის ტარება, რომელიც სულყოველთვის ხტუნავს. „დაბრუნებული მოქმედება“ პირველი უცხადებს ტერორს რიტმით ავადმყოფობას. შეუძლებელი გახდა მუშაობა სადაც არ იყო ქაოტიური—ორგანიზატორული ნიჭი. ედმონდ ვილსონი წერდა ფრანგებს: „დადას ნაწარმოები ფითრდება ტაიმ სკვერის ელექტრონის რეკლამების წინ. ეს რეკლამები საუკეთესო ნაწარმოებია დადასი“ აქ უკვე საჭირო შეიქნა ტერორი, რომ ნაბიჯს არ გადაეყლაპა სხეული. მართ-ლაც და არის საშინელება, რომელიც დაიფიქრებს ასეთ ტერორს. ეს არის მეორე ინტერნაციონალური კომპანია ხელოვნების წინააღმდეგ, რომელიც დადამ დაიწყო. საბჭო H2SO4 ზოგიერთ საკითხებში ემხრობა ტერორს—დაბრუნებული მოქმედების გაგებით. რიტმი ირღვევა, არის მხოლოდ მოძრაობა. აქ კიდევ ერთხელ გამოყოფს თავს მარინეტი—„ადამიანის ენერგია ათასჯერ გადიდებული სისწრაფით, იბატონებს დროზე და სივრცეზე“, სიტყვას ეცლება ზედმეტი თავბოლო. სიტყვა სინტაქსის წინააღმ-დეგ (შეფარდება რიცხვის „3“) სიტყვა იქცევა მოძრავათ. სიტყვის შეხვედრა სურათთან იძლევა სხეულს, სურათის შეხვედრა ხაზთან იძლევა გრაფიკას. $\frac{\text{ს ხ ე უ ლ ი}}{\text{ხაზი + ხმა}}$ = გრაფიკა

| **ფუტურიზმი** | **კონსტრუქტივიზმი** | **დადა** |
|---|---|---|
| მასალა მოძრავი | მასალა გამიზნული | მასალა ქაოტიური |
| სისწრაფე | ეკონომიკა | დალაგება გამიზნული |
| განივთება | პროდუქტი | საგნების კომბინაცია |
| რიტმი მანქანის | მოძრაობა სიუჟეტის | მოძრაობის მაქსიმუმი (ჟესტი) |
| პროტესტი | ტერორი | ტერორი. |

ფუტურიზმის მექანიკურ ქვეყანაში იყო რიტმი, მაგრამ ეკონომიკის მაქსიმალურმა დაწოლამ დაუ-კარგა მას ტაქტი, გამიზნულ მოქმედებას შეუერთდა ჟესტი და ეხლა არის ერთი მთლიანი მოძრაობა. მოძრაობა ასრულებს მუსიკის მაგიერობას. სახვას ცვლის მხატვრის აღმშენებლობა და დალაგება. მო-ძრაობას და მხედველობას აქვთ სმენა—აქედან „ზაუმი“ს წარმოშობა. მათი საერთო ხმის გადამღები ეს არის კინემატოგრაფი, მისი გავლენა ლიტერატურაზე ყოველმხრივია. კიბექარი სტრიქონებში, ეს რის კინემატოგრაფის დაწყება, ექსტრემისტების შემდეგ ეს უდავოა. აღსანიშნავია რომ ეს პრობლემა ექსტრემისტებისთვის არ ყოფილა მარტო და მარტო დასაყრდნობათ და მათი სტილიც იყო ამის მოწამე. მობრუნებული შემოქმედება მიდიოდა ცალმხრივობამდე, დაბოლოს ეს იყო ფუტურიზმი და ეს უკვე იყო სადგურთან მიახლოება. მხოლოდ ბარგების გადმოტანისას მოინახა დაბრუნებული მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2 4

მედება, რომელიც დაარღვევს ფუტურიზმის—დასრულებულ რევოლიუციის—შექმნილ რიტმს. აქ ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ ისევ 3 ხაზის აღმოჩენას კინემატოგრაფში და „შეფარდებას რიცხვის 3“ მაშინ ტერორი იქნება უკვე ისტორიის საქმე და ეხლა ყველაზე მეტად მაწუხებს მოგონება ღრიანცელის, რომელიც დააყენეს გადასულმა შკოლებმა. მათი შკაფები—წვრილი შრიფტით, ტირილი დაღუპვაზე. დაღუპვის პროცესი არავინ არ გამოაცხადა რადგან, თუ იღუპებოდა ვინმე ისევ მათი ხელოვნური ბუნება. აქ უკვე უნაყოფო აღმოჩნდა სწორი მხედველობა. ლიტერატურა მივიდა რკალის ბოლომდე და თუ ვინმეს მოყვა ფეხი ეს იყო ფუტურიზმი. შემდეგ კრუჩიონიხმა გამოაცხადა: „я в зеркале не отражаюсь“ და შემდეგის შემდეგი—კიდევ იყო ლიტერატურა—dada, რომელსაც დაშვენდა წარწერა: „оно великолепное ничтожество обсолютный нуль, радиус которого, как радиус вселенной безмерен“, ეს იყო საქმე თავმოყვარეობის რომელიც დაბოლოს არის ყველაფერი. ეს იყო თუ გნებავთ პირადი რედაქციის საქმეები, რადგან ისინი მეორე წუთსვე გაიძახოდენ „მოძრაობის სოციალობაზე“ და ცდილობდენ შეექმნათ რაღაც მზგავსი იმპოტენტური რიტმისა. მობრუნებულ შემოქმედების პერიოდში, კოშკი მართლაც სულ მოძრაობაში იყო. მომავლის სახელით რუსი ფუტურისტები ადგენდენ პროექტებს ბავშების გასახარებელ სურათებისას, მაგრამ საქართველოში საბჭო H2S04-ს გამოსვლები მეტი სისწორით იყო გამოანგარიშებული. მობრუნებულ შემოქმედებას ემატება დაბრუნებული მოქმედება. აქ ერთი მეორეს ავსებს. აქ ჩნდება მეორე პოლიუსი რომელიც არ კისრულობს გრანდიოზულ 0-მდე დასვლას, ეს არის ერთნაირი მოძრაობით შექმნილი შკოლა, რომელიც გამოიწვია რიტმის გადაბრუნებამ. ლიტერატურულ შკოლის მამა თუ დედა მთავრად მისაღებია ჩარლი ჩაპლინ და არავის არ გააკვირვებს „კოტელოკის“ გვირგვინობა, რომელიც უდრის მარინეტის გულს—ბორბალს. დაბოლოს შესაძლებელია მარინეტის ელექტრონის მთვარეს „კოტელოკი“ დაახუროს და ამით არაფერი არ გამოიცვლება. მეტი კუთხე—მეტი გრაფიკა. დაიბადა კინოს ყური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ვ ლ ი ს ი ს 9

გამოვა № 1

გ ა ზ ე თ ი 10

---

# H2SO4 №. 2

ა გ ვ ი ს ტ ო — 25

---

23 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი

სურათების დემონსტრაცია № 1

# H2SO4

ოსტატები: ირაკლი გამრეკელი

ბენო გორდეზიანი

## ირაკლი გამრეკელი



1924 Lues.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენო გორდეზიანი



1923 ცოლიანი პოეტი.

# 26

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბენო გორდეზიანი

## მხატვრობა.

წაიკითხეთ:

ბიბლიოგრაფია
მათი ვინც არ არის
მხატვარი

=OO

ნივთი ფოტოგრაფიულად დახატული



არის ავათმყოფობა

რომელსაც ვებრძვით როგორც



გადამდებ სენს

რჩეული:

სეზან
პიკასო
ბოჩჩონი
მალევიჩ
კანდინსკი
გროსს
როდჩენკო
კოკტო

იზმი:

იმპრესსიონიზმი
კუბიზმი
ფუტურიზმი
ლუჩიზმი
სუპრემატიზმი
პუანტილიზმი
კონსტრუქტივიზი

და DaDa

27

# სამქართველო

## ისტორია

მ ო ნ ა ს ტ ე რ ი № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.......100

!000 ფ რ ე ს კ ა

ნახეთ:

### ფიროსმანი გუდიაშვილი კაკაბაძე

### აკადემია

ქართული მხატვრობა—ძველი თბილისით, კავკასიონის ქედით ჩოხა ახალუხით, განიერი შარვალით და დაქარიანებულ მონასტრების ფრესკებით გამაგრებული ფოტოგრაფიულად

## შ ე მ დ ე გ

## H 2 S 0 4

ოსტატები: **ირ. გამრეკელი ბ. გორდეზიანი**

მ ა მ ე ბ ა

მოდის ქალ აქიდან. უზარმაზარი სასახლეები, ქუჩის შეუჩერებელი მოძრაობა, თუჯის ადამიანის დაჭიმული ძარღვები ყოველი წუთის მოულოდნელობა ნივთს უკარგავს ძველ ფორმას და მისი გაგება განყენებულად, სხვა ნივთთან წარმოუდგენელია.

ИЧЫЕВА ДИНАМИУРОБА АХАЛИ НИВТИС АСАГЕБАД

ინგრევა ყალიბი, ფორმა გადადის ფორმაში, ერთი ფორმის ხაზი ამტვრევს მეორე ფორმის ხაზულობას, ხდება ფერების შერევა და ჩნდება ნივთი ახალი ფორმით და ახალი ფერით.

**თანამედროვე მხატვრობა ითხოვს ინჟენერიას.** ტეხნიკა ანგრევს დროისა და სივრცის კანონებს. ნივთი რომელიც ჰკარგავს შემთხვევით ფორმას (უკეთ ფოტოგრაფიას) გვევლინება ახალი გაგებით და გარდუვალი შინაარსით აქედან **იწყება ნივთის ახალი შეგრძნობა.**

მეორე პოლიუსი **სულის განივთება.**

არ არსებობს დრო, სივრცე და თვალით უჭრელი კედლები.

ნივთის ახატვა შეიძლება ქვეყნის მოძრაობაში—და ეს იქნება ნახატის სული, მაყურებელი არის ცენტრი. ასეთი გაგებით **გაკეთებული** ნივთი ჰკარგავს ფოტოგრაფიულ ფორმას და ფერს.

ხაზების მოძრაობა და ფერების დალაგება საგანს უკარგავს მეტაფიზიკურ სახეს. **საგანი, ანუ განცდა როგორც ნივთი თავისთავად,** ხდება დასანახი.

მხატვრობას თუ გამოვაკლებთ ფოტოგრაფიას მხატვარს დარჩება ერთი **მიზანი** ან **ნივთის გასაგნება** ან **საგნის განივთება** ამისათვის საჭიროა ცოდნა.

რამდენად გაკეთება გადადის ხედვაში იმდენად მხატვარის პოტენცია არის ეროვნული ენერგიის გაშლა.

ჩვენ გვჯერა: საქართველოს აქვს საკუთარი ხედვა.

# H2SO4 ოსტატი ორგანიზატორები ხედვის,—

# ვაცხადებთ მხატვრობაში დიქტატურას.

# ნებიერი ზანაზათბა

## ტვინის ფორმულა:




პლანეტი სამკუთხედით.

# DA

ზენო

ლექსებს ვწერ წამწამებით
ცხოვრებას ვყნოსავ ჯიბიდან
მაინც მიკვირს
როზაქიძე ფოსტალიონი.
რად არის

ამბობენ რუსთაველის პროსპექტი ყარს
რა შუაშია აქ ყალიონი
სასამართლოში მისცემენ მესტვეს
შეგიძლიათ გაიკეთოთ ლორნეტი
რადგან
მომენტი არის ყველაფერი.
მოხდა მერცხლების
კონფერენცია,
აუდიენცია იყო რუსთაველი

ცხრა უღელი კატა მიათრევს ტრამვაის
ტრამვაის დატას ყლაპავს ურემი
ურემში ზის ტრაგედია
ყურძენმა მიირთვა კაცობრიობა
ისმინეთ ყველამ
რომ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო არის
ქუთაისი სააკაძე და მეწისქვილე

29 DA

გორდეზიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საექსპლოატაციო საზოგადოება H2S04 დაარსა

**სიტყვის ლაბორატორია.**

**სამხატვრო დაზგა.**

აქ მუშავდება პროექტები. მუშაობა მიდის აღმოჩენებამდე
წარმოდგენილი პროექტები არ არის მთლიანი შრომა ლაბორატორიების:
შემდეგ ნუმერში გაჩვენებთ:

**ირ. გამრეკელი.**

1. პროექტი „თავისუფლების მო დანი“.
2. " „მუშათა სასახლე“
3. “ „ქართული ცირკი“.
4. “ ტანსაცმელი.

**ბენო გორდეზიანი**

1. პროექტი „რევოლიუციონური თეატრი“.
2. “ ქართული შრიფტი.

**ნიოკოლ ჩაჩავა**

1. პროექტი—4 ნაირი ახალი შრიფტი.
2- ტრაქტატი-სტამბის კომბინაცია-

H2S04 აქვს სხვა ლაბორატორიული აღმოჩენები. გამოქვეყნება თანდათანობით.

პროექტები წარმოდგენილია სათანადო კომენტარიებით, რომ ქართველ ხალხს საშვალება მიეცეს ახლო გაეცნოს ლაბორატორიულ შრომებს. მით უმეტესს პროექტების მიზანი არის გახდეს ფაქტი.

ქართულ კონსტრუქტივიზმსა და წარმოებითი ფუტურიზმს დაუმუშავებელი დახვდა, როგორც ქართული ანბანის გრაფიულობა ისე სიტყვის მთელი ბუჰალტერია.

H2S04 ლაბორატორიები ამუშავებენ ქართულ ხმის სახულობასა და სიტყვას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა; ყოველ პროექტის დეტალიზაცია მიღებულ იქნება მოთხოვნისთანავე.

---

ქართული ანბანი
სიტყვა
შრიფტი

I

ანბანი—ხმის გადმომცემი ნიშანი. თანამედროვე ნიშანის საწყისი არის ბუნება (სოფელი). ქალაქი განვითარებული ტეხნიკით იძლევა ისეთ ხმებს რომლის გამომთქმელი ნიშანი ჯერ არ გაკეთებულა.

II

H2S04-ის ფუტურისტულ ლექსების ხმაური არის ლაბორატორიული მუშაობა ამ ხმების დასამუშავებლად (იხ. ლექსები ნიოკოლ ჩაჩავასი). ჩვენი მომავალი ქალაქით შექმნილ ხმას გაუკეთებს საკუთარ ფორმას.

ქართული ანბანის (ხმოვანების) თვისება ხუთი ხაზით იხსნება:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ი | ... | ... | ამართული |
| | ო | ... | ... | ... | მომაღლო |
| ა | ... | ... | ... | ... | სწორი |
| | | | უ | ... | დაქანებული |
| | | | | ე | ჩანგრეული. |

ამ ასოების კონსტრუემა სხვა ასოებთან ჰქმნის სიტყვას. (საზომი პოეტიკის).
მრავალი ქართული სიტყვა არის მეტად მწიგნობრული ამიტომ მოგვაქ რამოდენიმე ახალი ასო უსიცოცხლო სიტყვების მოსაკლავად.

ф= 

იშვა ხმით და ხედვითი შერჩევით ასო „ფ“ საგან და შეუერთდა ქართული ასოების ხაზულობას რაც არის მიზეზი ამ ასოს შემოღების.

ჲ= 

გაიმეორეთ.

30



ხმით და ხედვით უსწრებს „ღ“-ს წართქმით: ღ—ღ—ღ.

უმთავრესად ხმარობენ ქართლში და სამეგრელოში. (ამ ხმის ასოთ შემოღების პროექტი ეკუთვნის ს. ჩიქოვანს).

III

ნაბეჭდის კითხვას ახალისებს.
შრიფტი და დახარჯული ენერგიის სიმცირე (უმთავრესად მხედველობითი) ქართული შრიფტი ერთნაირია და მოსაწყენი. მოვითხოვთ: ქართული ანბანის რკალურ ხაზულობასთან „ა“ ერთად შემოღებული იქნეს კუთხური “ა„ და გაიმართოს ერთ ხაზში. დღევანდელი შრიფტი მისდევს სამ ხაზს:

მაგალითი სიტყვა

ერთ ხაზში გამართვა:

. . . . სიტყვა . . . . . . 2/3 შეამცირებს ხედვითი ენერგიას. +

ბ. გორდეზიანი.

+ H2S04 ლაბორატორიაში მზადება კუთხური შრიფტი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ასო რომელსაც გორდეზიანი ასახელებს ჩემი გამოკლევით იმყოფება ქართულ „ლ“-ს და რუსულ Э-ს შორის აგრეთვე ქართულ ყ და ლ შორის. გამოთქმითი საფეხურების შედეგი არის გრაფიკა ამ ასოსი. მაგალითად ხსენებული გამოითქმის ყრონტის და ენის ძირის შორის. ამისთვის მას ექნება ერთი საფეხური მოხრის—ორი საფეხური მოხრის ლ—რომელიც გამოითქმის ენის ძირის ზემოთ—ხოლო ლ სამი მოხრილი საფეხურით და გამოითქმის ენის დასასრულს. უკანასკნელ ორ ასოს გრაფიკა უთუოდ გამოწვეული იყო გამოოქმითი საფეხურებისგან. ჩვენც ვიხელმძღვანელეთ ამ მეთოდით. დღეიდან უნდა მოისპოს ლ ერთი მოხრილი მხრით. ლ უნდა ქონდეს სამი საფეხური რადგან ის მესამე საფეხური არის გამოთქმის. აქედან ცხადი არის ხსენებული ასო სცხოვრობდა ქართულ ბგერაში. ეს ასო ხშირი არის სვანურ და მთიულ ბგერებში. არის აგრეთვე კახეთში, მეგრულ ენაში სახელებში შეხვდებით. ქართული ენაში შორის დებულის—შეწუხებითი გაკვირვებაში არის ეს ასო. საჭიროება ამ ასოსი იბადება ქალაქში, ყოველი მოტორი ატარებს ამ ბგერას. განსაკუთრებით ავტომობილის სირენა. პრიმიტივში ეს ბგერა ძლიერ ხშირი იყო, განსაკუთრებით ქვის ეპოქაში. ეს სჩანს იქიდან რომ ხრამები ხასიათდება ამ ბგერით. შემდეგში მე გამოვაქვეყნებ გამოკლევას პრიმიტიული და ქალაქის ხმების პარალელზე. ფეოდალურ გაშლილი ეზოების და ცაცხვების რომანტიკამ დაღუპა ბევრი ბგერა სხვათა შორის ეს ასოც. დღეიდან ეს ასო იღებს პატენტს სწორ უფლებიანობის და გამოდის არალეგალურ მდგომარეობიდან.

**დანარჩენი კომენტარია.** ბენო გარდეზიანის გამოკლევებში აღსანიშნავია მკვდარი ასოების გაცოცხლება. ნახსენები ასოების გრაფიკა არ ეგუებოდა ქართული შტრიფტის საერთო ხაზულობითი ბუნებას. ამისთვის ამ ასოების გამოჩენა ქართულ ასოებში უცხოელ შთაბეჭდილებას იძლეოდა. ეხლა ხდება ყოველ მხრივი დაახლოვება ამ ასოების ქართულ ალფავიტთან ახალი გრაფიკის შექმნით.

**სიმონ ჩიქოვანი.**

## საარტიკულიაციო ბაზის ოპერაცია.

ქართული ასოების გრაფიკა = პრიმიტივი.
ქალაქის ბგერებისათვის ხმების ნაკლულევანება.

**33 ანბანი.**

რუსულმა აკუსტიკამ მოსპო ქართული მრავლოვანი ხმები.

ანბანი = ოპტიკა + აკუსტიკა.

ხედვა-სმენის ორგანების აპარატი.

ქართული ალფავიტი = კლავიატურა.

### ნახევარხმები.

**საწყისი ერთნაირი.**

**მნიშვნელოვანია ტონი = ხმის სიმაღლე და სიდაბლე.**

**დახარჯული ენერგია და დროს რაოდენობა**

## გ=ქ.

გ ——— მთელი ტონი-მაღალი.
ქ ——— ნახევარი ტონით დაბალი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქ-ს გახმიანება = მთელ ტონს გ-ს.
ქქონდა—გქონდა.
(დრო და ენერგია).

## დ=თ.

დ — მთელი-მაღალი.
თ — $1/2$ ნოტა-დაბალი.

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ
ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მხოლოდ-მხოლოთ. რაზედ-რაზეთ. სხვაგვარათ-სხვაგვარად.

არ იცვლება სიტყვა. იცვლება ტონალობა.

არ ირღვევა აკუსტიური წარმოდგენა.

თავისთავად—დ იკარგება.

მონათესავე ხმები მოძრაობის დროს ერთმანეთს სპობენ.

## ბ=ფ

ბ —— მთელი ტონი - მაღალი.
ფ — $1/2$ " - დაბალი
შენიშვნა: ბავში - ბაბას ნაცვლად - ფაფა.

## შ=ს

შ —— მთელი ტონი - მაღალი
ს — $1/2$ " - დაბალი.
შენიშვნა: რამდენიმე ს = შ-ს ხმას.

## ხალხური მეტყველებაში არსებობს მოკლე ხმოვანი.

დია. იახა (მეგრ.).

ჰია-ს გამოსათქმელად უნდა ვიხმაროთ ახალი ასო



დჰია. ჰიახა.

ხმით თითქოს უდრის я ს. განსხვავებაა სიჩქარეში

дядя. დჰია. ჰიახა.

ჰია უფრო ჩქარა და მოკლედ გამოითქმის ვიდრე я.

## დროსა და სივრცის ეკონომია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასეთი ბგერის არსებობას მოწმობს ჰ. ჲ და სხვა ამგვარი.

ბავში მეტყველების დროს ხმას არბილებს.

ლ = ლ̦. რ = ლ. ჩ = თ და ჩ-ს შუახმა.

უცხო სიტყვების გამოთქმის დროს ხმა რბილდება.

გოლშტრომ
მალშტრემ (საწყისი უცხო ბგერ ხმოვანება).

ხალხური ხმოვანებაც ხმას უცვლის ასოს.

ლ რბილათ გამოითქმის.

## დასკვნა.

**ახალი გრაფიკა. თანდროული.** ჩემი პროექტი.
**მონათესავე ასოების ჩამოყალიბება.**
**ქალაქის ბგერების კონსტრუქცია.**

II სიტყვა.

# 31

ქალაქი ქმნის ახალ ნივთს.
მეტყველება საზღვრავს ნივთს.
ქართულ მეტყველებას არააქვს
მრავალი სიტყვა.
ამიერიდან.

1. Poeté = როშარი.
2. Цирк = ხედეირა. (სანახაობა).
3. Небоскреб = ცამდიარ.

**ნიოგოლ ჩაჩავა.**

# აკაკი ბელიაშვილი

$K_{15}$—75 - 10

I. საქმიანო ხალხო
გჭირდებათ გაფხიზლება
ბულალტერებო მოეწყეთ რიგზე
შემობრუნდით მარჯვენა ფეხზე
შედექით
დებეტი კრედიტი.
აქტივი პასივი.

II. კეთილშობილო ხალხო
სალვარსან ლორიგან
კერზონ. ასკვიტი
აზდის სურნელება
ამყრალებულ კბილებში
ივლებენ ელექსირს
რევოლიუციის შიშით
მუცლებზე მიიკრეს ვებლეი სკოტტ

10 $\frac{5741}{3482}$ $\sqrt[\frac{b}{n}]{\frac{(k+1)-(t+r)}{\sqrt{1}}}$ = ი რ ი ა ც რ ვ

ი ვ ლ ა ნ ი 1.000.000.000.000.000.000.000

თ

360°

ც



2531.

ს ი ე რ თ

დარტყმა
ფორმულა
ტროსტი
ნაცია

№

ნ ე ვ ა ლ

გ ა ნ შ ლ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიძინა აგულაძე.

# მოგზაურობა.

გულზე ქეტონით პროვინციიდან მოდის მამალი
ფეხებზე არის შტანგების დოლი.
ლექსების დოლი
ან სახელები ყველა პოეტების
არავინ იცოდა ჩემს მეტმა ეს ზღაპარი
ჩინეთის მკერდზე ჩინდარივით ჩამოსობილი
ან თეირანში სპარსული ლოცვა
**—ოდა გაფრენილ საინზე**
ფანჯრებზე ვხედავთ ყველა ბაცილებს
სულს გასივებულს ცხელ კარტოფილით,
ფიქრობს შემთხვევით პატიოსანი ქართველი.
საჭირო არის მამადავითს დავაჯდე
შუბლზე და მტკვრიდან ვუშვა საპნის
ბუშტები
ალო:

| |
|---|
| ბაზარზე დაეცა ლექსების ფასი<br>გული ურბილდება ტირილით გოგოს<br>ასეთი არის ლირიული მოგზაურობა<br>გზა და გზა |

დაიზნიქება ჩემი ტანი ჰაერში საბრალურათ
ჩექმების ცხვირზე დამაწვება მსოფლიო ბურთი
**ხო-ხო-ლია-ხო**
**ავსტრალიაში მიდის პროპაგანდა**
**ჩემი ფეხების საჯარო ვაჭრობის**
**მე მინდა ვიყო გორდოს თავად**
**ან ინდოეთის გოგდიხანი**
ხხხა-ხა.
თავის გაბეზრება სიტყვების ბანდალით
მადა გახსნილი დეზერტირი დგება დეზებზე.
**ვალეტების კავალერია განდა**
მიწა—ცომი და ინვალიდის ცალი ფეხი გადგება მზეზე
უცდის დიაგნოზს და მანიკიორს დაიკრავს შუბლზე
შურდულათ მხრებზე აბრა დარაბებს
რგო:—დასასრული მოგზაურობის

32

ექსპლოატაცია დაიწყო პირველათ ჩემი ქუდის
როცა ტფილისი გადაიქცა ლირიკის ბაზათ
**და ეიფელს დაემუქრა კომინტერნი**
როგორც ყვირილით დაბერილი ბულვარის ყბები
იდგენ სახლები სოველ პრობკებივით
როცა ცირკებზე ქანაობდა ტანი აკრობატის.
კულუარებში.
ავსტრალიურ სიზმრების ბომბებს
რკინის ფანჯრებზე ჩამოშრება ლაქის ნარეცხი
პეროქსიდი **ცნობები:**

1 ზამთრის ბაკენბარდები უფრო ბერდება
ვინემ ქუსლებზე დამდგარი მზერა
**ან კონგოს პირზე კონსერვებში გაყაყის ხორცი**
ბეტონ-ბეტონზე გაირბენს თვალი
მოფრენილ ტანით ვუბრუნდები ისევ პოეზიას

2. ლოზუნგით დაზგებზე ხალხი დავაპურო
და შორი-ახლო გავიარო ავტომობილთან
**ინგლისში ყველაზე მეტად იზრდება ინდუსტრია**
ტრედების კრედო-ბლავილს მისდევს ტრიუმფი რკინის
და აშენებენ ახალ კრეისერებს.
**რომ სპორტსმენების ტრანსპორტები დაგზავნონ ყველგან**
არის პროექტი—ომი ბუზებთან

3. ცხვირიდან მცვივა ცემა რგოლების
და გაგორების ეპილეპტიკა უცდის კარნავალს
გამხმარი ზურგის ორნამენტებით.

4. ჩემთვის სოფელი არის გადამღერება
და გამასხრება ყველა სახელების
**დღეს ოხრახუშის სახელია მაკედონელი**
და პერგამენტზე გადინახეთ როგორც საბუთი
როცა ფორთოხლით მზე დაიწყებს ფეხებზე ბანდალს.
**გამომიგზავნით ორსულ ყგიან მემორანდუმებს**
როგორც ლორენეცო დავუბრუნდი მეფის ტრიუმფალს
მთელმა აზიამ იბორკილოს გამწვარ თითებზე
მზის წინაალმდეგ რომ ჩამოდის ქერწლი თავიდან
**ფუნიკულორ!**
ფორმულებით წერა გათავდა...
**რკინის ფეხებით შემოვურბენთ ოთხჯერ პოლიუსს**
ყველაზე ლამაზ ცხვირს მოჭრა მოელის
შორშრა——„ზაკროსტა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 33



1924. 69 ვარიაცია

ირაკლი გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი გამრეკელი



1924 ციკლიდან—ცირკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმონ ჩიქოვანი

## სანაპირო სიმღერა „ხაზო"

მეკობრეების ხიფათს აბრუებს ხაზო
ხარბი აბრეშუმის ხორაგი ხაზო.
რაგუ ხრეში ხარდინგი ხაზო
ბობოლი ბეგო ოფოფი ხაზო
ლარია ლარია კლდეებს ციცაბოს
ობობა ღრუმე ღრუბელი ორმო
ბირთვი და ბურთი ბეგობი ზურგი
როყო ხუნაგი ხარიბა კუზი
ბუნაგი ბაბრის კოვზი საგუბე
ქოლგა ქოგგალე ბუნდლის ქუბა
ღრომი ურემი ლამურა ლობი
არხი ბოხი. ბურლი.
დულს დალი
მდორე დოლი
ავლირეე
გურაგელი ბამბა ბრანწი
გურაგელი მორგვი ბორგვი ვერაგული
გურაგელი ქუფრი მორბო კუპრი
გურაგელი შორი შური გვიმბრა იბრო
ზარიუ ზარიუ ზორომი ზორომი ორო
აქლებები იალქაგარებს მიბლავის
იალქაგარი აგარებს დახევს.
იალქაგარი დორდო შორეულ ხაზოს
იალქაგარი ღრევა და ჩაფი
შ რს ნიჩაბები ტალღებს მიაპობს:
ზარიო ზარიო ზარიო რერო.
ხიფათი ხაზოს
ორბები ხაზოს
ხარდინგი ხაზოს
ზორომი ზორომი
ღრუბლებს ანღრეულს
კლდეებს ციცაბოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომანტიული პლაკატი

კრახმალის გრძნობას დაარქმევთ ამლეტს უგემურს
ბანალური რომანტიზმი ბარგათ გადამაქვს
შეძლება გექნეთ გამოსცვალოთ გრაფიკა სტრიქონის
აგებულ ასოების ქვეშ
დარჩება ჩრდილი რეზინის.
დეკადენტი ეტყვის „პოეტის სული“
და ინდუსტრიით შორს ამგზავრებს ასტრალიულ გზებს
ან აგარაკზე წაიღება ტვიჯილს.
არის რომანტიული განცხადება
მიჯერებს უხმოთ მოჯობის მოთლი.
ქესტს უხერხულს, ნახევარ ტვაველს.
იაპონურ ქოლგებით დგება ზაფხული
ვიტრინებიდან ასხმული ხარ ღორი სხეული
პროჟექტორები გდევენ ბეგლებით.
გული ტროტუარ
გადაიფორთხეთ ფრჩხილებით ფრთხილათ
როგორც პროვინცია
**ხან დი — არგი**
ურდულებით დასტოვებთ პრო'სპექტს
ხმაურ ტრამვაებს დატვირთულებს პუდრი's მატებით
**ჭრელ შალვარების გწამდეთ სალამი**
**და რიშარების სკანდალის სექტა.**
გადაგზავნილი აგარაკზე როგორც ლოზუნგი.
ცენტრის გაზეთებს უთარგმნი ცცარას.
მე მოვინელე ირონია განიერ კუჭათ
ყინვებით ღვრილი.
ლა —
წვიმი დასალუპათ კარდონის კლ დეზე.
მტირალ მისტიკას აღარ შერჩა ხამოს ღამურაც
მაგონებს კოშმარ's რომ გაწუხებს მაზოლის დეზი
და საშკურნალოთ კაპსულებით ვყლაპავ სიყვარულს.
ფსიხიატრების მარაკს
ვამორბიკევ მამბების ბრმა.
**რო — ტონ — დო**
**მზისუმზირე —** ლირიული არის ხშირათ მოფერიც.
ნახსენებ ქესტით ნასკვი მიმივა.
ჭულს აგარაკზე ვგზავნი მაგაქათ
და ტელეფონის სვეტების ქსელი
ბებერ რომანტიზმს ვიდევ ავაქებს
„რეკორდ“ რეკლამა მკერდზე მიიკარ
კოფთებიც-კი პროსტიტუტებს მოაქვთ მაკალით.
კედლებთ შპალერზე პოულობენ კარტებს დაკარგულს
თქვენ ჩიქოვანი ფრჩხილით დაახჩვეთ
ქანგეულ დანით სქესი დაკალით·
ჩემი ოცნება მეცელ ბაღლი ცახირწნის ხორცს
კამერემავით ამოავსებს კამელის კათხებს
**მე რომანტიზმზე წავიკითხავ ბოლო „რეკვიემს“.**
**კრახმალის ლექსი ისტერიკით შუბლის ძარღვს გატკენს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დეპეში შესაპყრობი, კვამლის **გულ გული**
ღმერთებს გაუგზავნეთ, კომკავშირის რაკეტებით წვერებ შეტრუ-
სულს,
ის ჩაეპარა მოგზაურის გახსნილ ჩემოდანს
და გამბურგივით **ხომალდებში** გახდა მატროსი.
იქ უმოწმობოთ ღებულობდენ წინეთ გიოტეს
ეხლა დიდებით გაუსწარით მაგგენს უნიტასს,
თქვენი ქვევრი გავს ფრანგულ დეკადანსს
აიღეთ **ხმა!** შეხამებაში ექსპრესები უნდა კიოდეს
და სადგურებში აგროვებდენ მარკანეცით შემასკულ ნეგრებს
ველოდით მერცხლებს იპოდრომზე როგორც კანცლერებს
რომ უფლებისთვის კვლავ იბრძოლათ ჩვენში ფრინველებს
და **ცილინდრივით** რომ დავადგი **ცირკულების** წვერზე **კვარტალი**
**შრიალი შორს**
**შარები რუშ**
როგორც **ტრიბუნაზე** რუპორი **ტროცკის**
გოგირდის გულით საპროტესტოთ დადგა ქალაქი
და გასაფრრენი ბურრთების ქერრქში
დალვარა ბორრში—მზემ აგებულმა კოშკის შამფურზე
**მარსზე რადიო დაჰკრავს კამერტონს**
**ქუსლის ლურსმნებზე ვგრძნობ გადმოცემას.**
აგიტირდება კუზო დედის რძე
ავეტრალიერ მუშების ბირჟით
**ეუვანი ბორბლებს—რეზინის როჟა**
**და იუნკერსის კორზირი კერძოთ.**
ავეტრალიერ ცირრკებში ბოკსი,
არრლეკინებში კოზირი რეკავს
მაიმუნები ლეჭავენ რკინებს—სურთ გამოგვიდგენ ძველი **დროგებით**
**დრო გვაქვს** პლაკატებით გავაწითლოთ ორრგი ჩიკაგო
ისვრის ფანჯრები შრაპნელებით და კირზებით სიმონ ჩიქოვანს
ღრუბლების ბატებს—სუფრაჟისტკებს ცის მოედნების
**ბრძანება ქონდეთ ამ ბრძოლებში სისხლი დაღვარონ**
ზურგიდან ვაგებ ლიანდაგებს დარტყმით ზგებელის.
**მისდევს პროსპექტი როსკიპების გრადუსები, ცეცხლის ცეპელინს**
და მოტორების ელექტრონის გამგებ მაკრატლებს,
მხტუნავ აივნებს კაბინეტთან გრაფის მტრედებით,
რეგისტრატორებს ნახშირების, კურორტების გამხდარ ლეგალებს,
ბიბაბოების კონტრაბანდებს, ბანდეროლით გამძღარ მაკლერებს
**ბურთების ბურლი—რევოლიუციის შტამპი დაერტყეს**
ალფავიტებთან შეტაკება შაროშარების
ბუზივით მოსჩანს კუნძულები—გრაფიკაში საგნების ბადე.
ცეპელინ **გრბგრ**—ჩიკაგოების ექსკურსანტი ფერფლის მოტორი
დავასრულოთ რიტორიკა
კოოპერატივი როშარების „**გუფ**“

36

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროექტი ახალი კრეისერის·

## ფოკუსი მობრუნებული შემოქმედების

Мир с конца ლოზუნგი ფუტურიზმის და შემოქმედებითი გამართლება. რუსებმა მობრუნების იდეა ასე განსაზღვრეს: მობრუნება უდრის მოძრაობის ახალ კომბინაციებს და სტადიის გამოცვლას. როდესაც „რეკვიემი" შედეგი არის დასრულების. დეკადენტებმა იგრძნეს საგნების ორგანიულობის დარღვევა და აპოკალიპსი გამოაცხადებს. განცხადების შესავალი სწორი და ალლო აღეშული გამოდგა, მაგრამ „რეკვიემი" შერჩა ლექსს და მიწის ბურთმა ელექტრონის სისწრაფით გასწია მექანიკურ მთლიანობისაკენ. შედეგები: რომანტიზმის დალუპვა და ახალი ორგანიზმის რიტმის ძიება. მობრუნების ხაზულობა ეკუთვნით ფუტურისტებს. ეს არის სხეულების მოტორებში გადასვლა.

ადამიანი მანქანა

En volant sur le coeur de l' italie

აქ გამოჩნდება ლითონის გული და რომანტიული სივრცეების დალუპვა. ინგლისის საზღვარი ფლოტილია ვერ უსწრებდა მოულოდნელ მიღწევებს შემოქმედებაში—**კოლუმბი მაინც მარინეტი არის** მან იგრძნო მექანიკური ქვეყანა. საინტერესო არის ვინ შემოუვლის კუნძულს და წარმოადგენს ნუსხას ახალი ორგანიზმის, მომავალ შემოქმედებას შეიძლება ეწოდოს ეს სახელი—როგორც ამერიკო.

ქალაქის მანიფესტაციამდე ჩვენ გავიარეთ პოლიუსები, რომელნიც შეიძლება იქნენ ჩამოთვლილნი. ქალაქი შეიქმნა ნივთების ტუალეტით და დეკორაციით. სი წრაფის კანონები მხოლოდ ნივთების აკრობატიკის შედეგი იყო და ცირკული ანტრაქციონები ქალაქათ დაიბიდა.

შესანიშნათ აღნიშნა მაცამ რომ რელიგია ნივთებმა მოსპეს, რომლებსაც წინაალმდეგ ორგანიულ საგნების არა აქვთ „ღვთაებრივობა". საგანი ატარებდა რომანტიულ სეზონში არა უტილიტარულ ფასს, არამედ „საკრალურს", როგორც ეს ქართველ მისტიკოსებმა განსაზღვრეს.

უტილიტარიზმი და აკრობატიკა—საწყისი ნივთის. ასეთი რეკლამა უთუოდ დაშვენდა პოეზიას რომ მელახოლიკებს არ დაეხრჩოთ ბაყაყი. ამ გადალაგებ ს დროს შეიქმნა შემოქმედებით ათვისება:

**1. საგნების დაშლა 2. საგნების განივთება 3. ათვისება ნივთების.**

## დალუპვის და მობრუნების პოეტიკა.

I. ქიულ ლაფორგი—მზე მკრთალი როგორც ნაფურთხი კაბაკში.

II. მაიკოვსკი—солнце рыжий маляр.

III. მარინეტი—გული წითელი შაქრის.

IV. პასტერნაკი—солнце акробат.

I. საგნები როგორც მისტიური ფენომენი დაილუპა.

II. ღვთაებრივობა გადავიდა კომფორტში.

III. საგანი გახდა უტილიტალური. ე. ი. ნივთი.

IV. საგანმა შეითვისა აკრობატიკა (ღვთაებრივობის ნაცვლათ) და გახდა ნივთი.

ასე დაასრულა ომამდე არსებულმა ფუტურიზმმა თავის მოღვაწეობა.

შემდეგი ქრონიკა არ იძლევა განსაზღვრულ მეთოდს. თანდროულ შემოქმედების პოლიუსები მივიდნენ ყოველ მხრივ ტერორამდე

ომების შემდეგ იყო ნივთების კრიზისი. მატერიალისტური დღეები რომ უთენდებოდეს პოეზიას დადიაზმი სწორეთ ამის შედეგი იქნებოდა, კარდინალური ფაქტი და პოლიტიკური მობრუნება იყო კომუნისტური რევოლიუციის პერსპექტივები: ახალი ქვეყანა მომავალ ინდუსტრიალიზმით. ამ ხანში გამოჩნდა **წარმოებითი ფუტურიზმი—კონსტრუქტივიზმი და დადაისტური რევერანსები „ნიჩევოკების" და რამდენიმე გრადუსის.**

აქ ექსკურსია ეწყება წერილს რომ ავტორმა შესძლოს მივიდეს პროექტის იმ ნახაზობამდე სადაც წყდება უმთავრესი **რას უდრის მყოფადერი პოეზია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: $41^0$ მიწის ბურთის პარალელის, აერთებს რომს - ჩიკაგო — თბილისს, ამიტომ არის შემოქმედების როგორც რევოლიუციაზე ისე აღმშენებლობაზე თბილის ერთ დროს ლაპარაკობს. (აღნიშვნა უთუდ ივანსი არის თბილისის მეცნიერებას ყავს. შტეინახის მეტოქე და რევოლიუციონურ ტრიბუნალის წინ წამოთქვა გაახალგაზრდოების შესახებ მრავალი მონოლოგი.

**დადა.** დადაისტების რეზონი ვრცელი გამოდგა ვიდრე ფუტურიზმი. ფუტურიზმის პოლიარული იყო ფრანგული ექსტრემიზმი ინგლისური იმ·ჟიზმის სიულ პოუდენის მეთაურობით. სხვაობას ქმნიდა უფრო რეზონანსს ვიდრე ფაქტი იყო. ხელოვნების განვითარებას ქონდა ქრონოლოგიური შეცდომა რომ დადაიზმი ფუტურიზმის შემდეგ გამოვიდა. იტალიურ ფუტურიზმი თუ არა რუსული მაინც ძლიერ ენათესავება დადას. დადა არის ფსიხიკის დაწმენდა. დადამ აიღო მრეცხავის როლი რომ თანდროული ფსიხიკა გასწმინდოს ყველა სიმძიმეებისაგან რომელიც აწევს ფსიხიკას რომანტიულ საუკუნეებიდან. შემთხვევითი ხომ არ არის დადა რომ ბავშვების სათამაშო ხის ცხენს ეწოდება. დადაისტებმა ლექსებისთვის აფრიკული ლექსიკონი შეადგინეს ხშირათ—კი სრუალიად სპობენ მეტყველებას, აქ არის ცდა ბავშვის ფ იხიკამდე დასვლის, ამ შემთხვევაში ექსპერიმენტების ნაყოფი კი არ არის იმდენათ საინტერესო, რამდენათ თვით პროცესი კრუჩონ ხი უფრო ადრე არის ამ ცდების დამყენებელი: „заум" და ერთ წლიან ბავშვებ ს ბაასის შეკრება პირველათ მან სცადა. ასეთივე იყვნენ გნედიჩი და იგნატიევი, პეტერბურგის მაშინდელი საფერფლეების „რებუსები" მეშჩანური პოეზიის ისტოროლოგი სათვის არ დარჩენილა სტრიქონიც მაგრამ მოძრაობის პროცესი დღესაც რჩება და ის გადმოიბარგა „ნეჩევოკებში" და რამდენიმეთ გრადუსის გამოსვლებში. კრუჩონიხის—გნედიჩის სეზონი რომ საფრანგეთ იტალიამ ვერ განიცადა ომამდე დანაშაული მიუძლვის მარინეტს და გიომ აპოლინერს, რომლებიც ეხლა დადაისტების ნ ოლოგიურ სამსჯავროს წინაშე დგანან, ასიც ფაქტი რომ დადაისტები არიან ხშირათმოწაფეები აპოლინერის, ფეი და ომამდე არსებულ სალმონის შემოქმედების, როგორც მათ დეკადენტებიდან ყავდათ პოეტიკის შექმნელი ლოტრიამონი და არა რემბო, დეკადენტური ნარჩენი დადაში ლოტრეამონის ვაგონიდან არის გადმოტვირთული.

**უმთავრესი ფაქტი (რუსული მაგალითი) ფუტურიზმი არის პირველი სტადიით რევოლიუცია პოეზიის და სხეულის ნაწილივით ატარებს დადას.**

**შენიშვნა:** ეს იმიტომ რომ ფუტურიზმი **არ** არის შკოლა, კიბის სტუქტურა **მან** მიიღო ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებიდან და სწრაფვა საზღვრავს ფუტურიზმს.

# I

ეს არ არის დადაიზმი —ავტორი მხოლოთ იღებს დადაიზმს საკუთარის გაგებით: ფსიქიკის გადატეხისათვის ვსაჭიროებთ დადას **რევოლიუცია პოეზიაში, როგორც ყოფილი ფსიხიკის ისე პოეზიის სტრუქტურის ანგრევის პროცესი**. თემების ანგრევა და ფსიხიკის გადატეხა ბადებს ცდას ახალიაპარატის შექმნის, რომელიც პარალელური იქნება მომავალი ქვეყნების.

კომუნისტური სახელმწიფოს პერსპექტივები გვაძლევს საშუალებას დადას ვუყუროთ წარმოდგენილ უტილიტარულ გაგებით და არა დეკადენტური მიდგომით, რომ იდიოტიზმი არის გამართლება—ან ბატის ინტელექტი მიზანი. ეს არის მხოლოდ ბრძოლის ტაქტი.

ნათქვამს ამტკიცებს ჟორჟ დესენი ფრანგულ გაზეთ „ავანტიურაში"· მას დადაიზმი სოციალისტურ მოვლენად წარმოუდგენია. დეკადენტური გაგება დადასი მხოლოთ საქართველოში აქვთ და ისიც ტიულენის ჯიშს. **ანალიზი. ფუტურიზმი ეკრანი მყოფადერი რეალობის.** ანალიზი თანამედროვე ხელოვნების ამ გაგების პრინციპებიდან გამოვა პოეზიის ხსნილი, რომელსაც ჩვენ ვამზადებთ საკმაოთ ლაბორატორიული არის და ეთანასწორება გეომეტრიულათ გამოანგარიშებულ კუთხეებს კონსტრუქტივიზმი შეხვდა პოეზიის უარყოფაში დადაისტურ მიმართებას პოეზიაში. $41^0$ გრადუსის დირექტორი ამტკიცებდა პლაგიატს როგორც უკანასკნელ მოსპობის საშვალებას პოეტისას, პლაგიატით პოეტი და შემოქმედება ისპობა, იბადება მხოლოთ მოსპობის პოეტიკა **კონსტრუქტივის.**

სტები ნივთების შექმნის საჭიროებით უარყოფენ ხელოვნებას: **თანდროობის მიზანი ნივთების შექმნა, ხელოვნებას არ აქვს მიზანი.** როდესაც ასეთ ტრაქტატებს ადგენდენ პროვინციელი კონსტრუქტივისტები მაშინ ერენბურგის მემარცხენე აკადემიზმა გამოაქვეყნა ბერლინიდან ლმობიერი კონსტრუქტივიზმიდ მოუნახა პოეზიას „მჭვერავი“ს როლი—ბოლო, მთლიანად—ხელოვნება „კონსტრუქცია ნივთის მოცულობის“. მომავალი-კი ბუხრის გამკეთებლებს ეკუთვნის. შემოქმედების ეს გაგება შეიქმნა რუსული-პოეზიის მემარცხენე ფრონტის იდეოლოგიათ—ჩუჟაკი არვატოვი და სხვები ვერაფერს ამბობენ უფრო ვრცელს ერენბურგზე—პოეზიას ბევრი საკანცელარიო ქაღალდები დარჩა გადაულაგებელი და ზედმეტი ბარგი თუ არის ეს, იმიტომ რომ დასახელებულ ავტორებს აქვთ დეკადანსი გაგების.

ჯერ „პოეზია მჭვერავი“. ეს ანალოგიური არის ხელოვნების და პოეზიის იმ გამიჯვნასთან რომელიც სიმბოლისტებს ქონდათ. მაშინ პოეზიამ უნდა დაკარგოს მუსიკალური გრაფიკული და სახულობით ფასი. გადაყვეს დრამატიზმის გაბერილ მჭცელს კატასტროფებს ეს ვერ მოიყვანს.

**შენიშვნა:** კონსტრუქტივიზმი როგორც საზოგადოებრივი მიმართება დღევანდელ სეზონში აუცილებელი არის H2SO4 საზოგადოების დადგენილებით—ხსენებული საზოგადოება ამ ფრონტზე. მთავარ ენერგიით გასწევა.

ნივთის მოცულობა მყოფადერ რეალობის სტრუქტურას ვერ საზღვრავს. ყოველ ცალმხრივი პროექტი გადადის მისტიკაში. მაგ. კრუჩონიხის (заум—როგორც მეტყველება სხვა თემაა) заум არის უნივთობა. მიღება მხოლოდ მოძრაობის. ამისათვის ის შეიძლება იყოს პარალელი, კინომატოგრაფის უნივთობით ის დადის აბსტრაქციამდე. „заум“ როგორც რევოლიუცია მისაღები იყო ომამდე--ეხლა როგორც რეფორმაცია და „заум“-ით წოდებების მოცემა შეუძლებელია—დამოუკიდებელი მოძრაობა არის კიდევ აბსტრაქცია, მყოფადერი რეალობა ამით არ იქმნება. საგნების არევას უთუოდ სჭირდება „წოდებების“ გადალაგება. წოდება ნივთის. ნივთი არ ხასიათდება მოძრაობით ისე როგორც ძარტო მოცულობა არ სწურავს ნივთს. ცხადი არის მოსალოდნელი კრახი »заум“-ის.

უსაგნობით ის დაშორდა მასკას (წოდება გვესმის როგორც მასკა ნივთის). რამდენად ის შორდება მასკას ნივთის იმდენად ის სცილდება მოძრაობასაც და იქნება ლაბორატორიის მაგიერ ახალი მისტიკა, ასოების.

იტალიელებმა მხოლოდ მანქანები დაინახეს. მათ ვერავითარი სტრუქტურის შექმნა ვეს შესძლეს; პიოლო ბუცის ნავთსადგურებით აღტაცება გემების და მანქანების მრეწველობით სიმდიდრის აღწერა უკვე განვლის სტადია არის. პაოლო ბუცი არის ოდა მაშინალოგიის:

tessere tessére tessere
Vogliamo it tessuto novello
alle Anima e alla carne
del domani

ეს არის მატორი. წინეთ ეს მიღების და გამოსვლების სტილი იყო. ეხლა არაფერი არ რჩება. მიაკოვსკი ასეევის და ტრეტიაკოვის შემოქმედების პოტენცია ძლიერი არის, მაიაკოვსკი სდგას მოსკოვივით, მაგრამ ერენბურგის იდეოლოგია მასზედაც ვრცელდება. ფრანგი პოეტი სალო რუსული ლექსების შესახებ ლაპარაკობს: ლაპარაკობენ ნივთზე, ხოლო თვით ლექსები ყოველგვარ ნივთობრივობის გარეშე სდგას.

მოწოდება და საკანცელარიო პატაკი კიდევ პოეზია არ არის და ხელოვნებას მეტი მიზანი აქვს. თანადროულ პოეზიის პერსონალი ამ სახელებით სრულდება.

**მთავარი ლოზუნგი: პოეზია ნივთი.**

ჩემი პროექტის თანახმად მას აქვს ასეთი პრეტენზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიის განვლილი რევოლიუციის შემდეგ, კომუნისტური სახელმწიფოს აღმშენებლობით სტრუქტურის პოლიარული პოეზიას აქვს შემდეგი პერსპექტივები:

I. კონსტრუქცია მყოფადერი ხელოვნების (როგორც აპარატის)

II. კონსტრუქცია მყოფადერი რეალობის.

III. კონსტრუქცია მყოფადერი ფსიხიკის (აპარატის საშუალებით).

**აპარატის შექმნა.** მეთოდი. ყველა ტერორის მეოხებით რომლებიც პოეზიამ განიცადა—ნაშთი, გამოქვეყნდა სრულიად დაშლილი დოკუმენტებით—რომლიდანაც ჩვენ გვიხდება შექმნა ახალი აპარატის. რომელიც იქნება ამოვისები მყოფადერი რეალობის. მეთოდი უკანასკნელ ცხრილში იქნება ნაჩვენები, ხოლო სტრუქტურას სარჩული აქვს ყველა პოლიუსები რომელსაც ნივთი ქმნის. კრუჩონიხს წარმოედგინა მხოლოთ მოძრაობა, ეს რამოდენიმეთ დაჯაც არის. კონსტრუქტივისტებს მყარი ნივთი სწამთ. აინტერესებთ ნივთის მოცულობა—ეს იმის შედეგი არის რომ კონსტრუქტივიზმი მოდის კუბიზმიდან. ორი პოლიუსი აჩენს ნივთის ცალ-ცალკე თვისებებს და ცალ-ცალკე თვისებების ორგანიზაციას. ეს არის **ნივთების კონსტრუქცია და ნივთების დინამიზმი.** ხელოვნებაში ამ პოლიუსების შეხვედრა დღემდე წარმოუდგენელი იყო. მალევიჩმა რაღაც ამგვარი სთქვა ერთ წერილში „კუბიზმი და ფუტურისტული დინამიზმი მოცულობის“ ეს არ არის ორგანიზაცია ნივთი ორივე თვისებების. პოეზია უნდა იქნეს დამოუკიდებელი ნივთი რომელიც აერთებდეს ნივთის ყველა თვისებების მთლიან ორგანიზაციას. ის არის ორგანიზატორი ნივთის ყველა თვისებების და დარჩენილი ნივთი. ამის მიღწევა იქნება მხოლოთ მაშინ როდესაც პოეზია დადის ნივთამდე.

აქ საჭირო არას რამოდენიმე რევერანსი ფუტურისტულ მხატვრობისაკენ, თუმცა პოეზიის მასალა სრულიად შეუგუები არის მხატვრობის.

**პოეზია ნივთი**—უპირველესი თვისებები ნივთის მას აქვს როგორც აპარატს—მატერიალურ ფორმას და შეუძლიან გაადალაგოს მთელი მყოფადერი რეალობა—ფსიხოლოგიზმი და კონსტუკცია მომავალი დალაგების ეს ორი პოლიუსი გამოდის ისევ ნივთის თვისებებიდან. ნივთი მთავარი ორი საწყისი არის მყარობა და მოძრაობა. ყოველ დღიურ ნივთში მყარობას აქვს თავის გრაფიკა. მოძრაობას მხოლოთ შემთხვევებში. ორივე გრაფიკა უნდა თავდებოდეს პოეზიაში როგორც **აპარატში** სისწრაფის კანონი ნივთების ფორმას ვერ სპობს რადგან საგნებიდან თვით მოძრაობამ შექმნა ახალი ფორმები. აქედან ცხადი შეცდომა პირველ ყოფილი ფუტურიზმის და დადაის. პურისტი მხატვარი ჟანერე უწოდებს ხელოვნებას მანქანას ემოციების გამომწვევს. ბოდუენი სტრიქონების შეფერადებით ფიქრობს ახალ აპარატის ჩამოყალიბებას. ახედველობით საგრძნობი პოეზია ამ სახით ვერ შეიქმნება ამ ბრძოლების გადაწყვეტა შეიძლია კინომატოგრაფს—კინემატოგრაფი და პოეზია ეკუთვნის ბ. შკლოვსკის' ის არ არის დაინტერესებული აპარატის სისტემით. ამის შესახებ ვილაპარაკებთ ჩვენ როდესაც ამ პრობლემის პრაქტიკულ გადაწყვეტის ტრაქტატს წარმოვადგენ.

უმთავრესი ის რჩება მაინც რომ პოეზიამ უნდა შექმნას ორი საწყის საკუთარ აპარატში—პოეზიის აპარატი უნდა იტევდეს ნივთის გარესკნელის და მოძრაობის ფორმას მთლიანად. ეს განსაკუთრებული ნივთი რომელმაც გაერთიანებს ერთ და იმ.ვე დროს რამდენიმე ფაქტორს რეალის. ეს სტრუქტურა შექმნის ნეოლოგიურ ცხრილს რომელიც ნაჩვენები არის წერილის ბოლოს.

მანიფოდექსი სიტყვა მსახი ხელოვნების სადაც ვეცდები აპარატის მასალების დალაგება მივცე და უფრო პრაქტიკულათ გადავწყვიტო ნათქვამი.

**ეხლა ახალი.** აპარატის მოვალეობა დამტკიცებული, არის მეთოდიც მოცემული. ეხლა გადავალთ ჩვენ რასაც უწოდებთ კონსტრუქციას მყოფადერი ფსიხიკის და რეალობის რიტმი. კონსტრუქტივისტებს პოეზიისთვის დანიშნულება ვერ მოუნახავთ, ეს იმისათვის რომ კონსტრუქტივისტებს მისტიური ქვეყნების და რომანტიზმის მოსპობის შემდეგ ვერ წარმოუდგენიათ პოეზიას თუ რჩება რამე. ეს სრული დეკადენტური გაგება პოეზიის, პოეზიას არ ქონია სამოქმედო ასპარეზი ისე ვრცელი არასდროს როგორც დღეს და უტილიტარობა მისი უნდა გამოიხატოს არა „ზვერვაში“ არამედ მყოფადერი რიტმის და ფსიხიკის კონსტრუქციის შექმნაში. მისტიკის მაგიერ ქალაქმა მოიტანა გეომეტრიული კუთხეები უამრავი თეორემები, რომელიც დაუმუშავებელ მასალათ ეძლევა ეხლა პოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზიას, ქვეყანა გეომეტრიულ კუთხეების ფორმულების საჭიროებს საკუთარ კანონის მონახვ ს აქედან თანამედროვე ფსიხიკიდან მომავალი ფსიხოლოგიზმის და განწყობილების კონტაქტს. О ,город сборник задач без ответов. პასტერნაკ ის ვერ იწამებს მომავალი პლეიადა—ქალაქის ახალი ფსიხიკა შექმნა უმთავრესათ ქარხნების ბორბლებთან მდგომ პროლეტარებმა. სახელმწიფო აღმშენებლობა ამ კლასით მიდის. მაშასადამე რომანტიული ქვეყნები ძირიდან მოსპობილი არის. დადა და ფუტურისტები ცდილობენ ფსიხოლოგიზმის მოსპობას. ეს დაიკავეს ფილისტერიის კრიტიკოსებმა. დღესაც წიგნები იწერება ამ თემაზე, ფსიხოლოგიზმის მოსპობა წარმოუდგენელია. შეიძლება მოსპობა მხოლოთ დრამატიზმის. დრამიტიზმი დაყვა ფსიხიკას საგნების „ღვთაებრივობიდან" ამ სასჯელის მოხსნის შემდეგ ფსიხიკა დარჩა გამოფიტული ხელოვნებისთვის, რადგან თანდროობის რიტმა და არა რომანტიული ქვეყანა ვერ შეატანხმეს. სანდრარის განცხადება ამერიკელების მიმართ რომ თქვენი კოშკები—ცამდიარები კარგია ხოლო თქვენ მოსაწყენი, ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ჩამორჩა არსებული მემარცხენე პოეზია თანამედროვე ფსიხიკას და გადაყვა ან რომანტიზმის გამოგლოვას და ან მაშინების „პრეისკურანტის" შედგენას. სახიფათო არის განსაზღვრული ფორმულების მოცემა წინდაწინ რეალის და ფსიხიკის კონსტრუქციის შესახებ; შეიძლება ხლებნიკოვი იყო ერთად ერთი პოეტი, რომელიც გრძნობდა ამ საჭიროებას. რასაკვირველია მას არასოდეს კონკრეტიულათ ეს არ განუცხადებია, მაგრამ გავიგე ეს ასე. შეიძლება ის მართალი იყო, როდესაც უნდოდა ყოველი მოვლენა და საგანი მატემატიკურათ ერთეულებზე დაეყვანა—ყოველ საგანს და მოვლენის შორის რიცხვითი ნათესაობა მოენახა წინააღმდეგ დრამატიულის, მაშინ ფსიხოლოგიზმის განსაზღვრა უნდა დაბრუნებულიყო რამოდენიმეთ პრიმიტივში, რომ ყოველი შეგნების წერტილი უდრის მათემატიკურ რიცხვს. ეს ფსიხოლოგიზმის კონსტრუქცია მაინც არ არის და ეს მხოლოთ მიღწევის ერთი ნიმუში არის. „ვინ იცის ეს პოეზია—სად წავა ან კიდევ ცხოვრება რამდენ აპოგეიამდე მიიყვანს ტვინის ქალას." ყოველ შემთხვევაში ამ ფრონტზე საშიშროება მოიხსნა. თუ ამერიკული კინოს ანკეტები იძლევიან ავანსათ რომ ერთი წლის შემდეგ პროჟექტორი ყოველ ქალაქში დილის ათ საათზე შესძლებს პლანეტის დღიური მოქმედების ნუსხის წარმოდგენას. „რათ გვინდა თქვენი პოეზია." ლოზუნგი როგორც თქმა ეს უკვე ბანალანური არის. ქართულ პოეტებს ყველა მეტათ შეუძლიან იგრძნოს საჭიროება პოეზიის. **კონსტუქტივიზმი მყლფედერი ფსიხიკის**.—პოეზია ივლის ამ გზით. შეიძლება ის შეჩერდეს შერლოკ ხოლმსზე (ერენბურგის პროზა ნაწილობრივ იძლევა ასეთ ფსიხოლოგიას) ან საერთოდ ავანტიურებზე—შეიძლება მათემატიკური ხაზღვრები ხსნიდეს ყოველივეს. მრავალი გარდამავალი ეპოქა იყო დეკადენტობის და ბურჟუაზიულ მეშჩანურ ფანატიზმი სგამოკვლევის დროს მაგრამ ეს ყოველივე გაიპარა და ჩაგვივარდასრულიად უნაყოფოთ ხელში. განსაზღვრული ფორმულადან მიმავალ ფსიხიკის და რიტმის შესახებ მხოლოთ ერთი მომენტი შეიძლება აღინიშნოს **ნივთი და ფსიხიკა**. ეს არის მთავარი. ნივთის ბიოგრაფია უთუოდ ფსიხოლოგიზმის გარდაქმნასთან არის დაკავშირებული როგორც ზემოთ ნივთი ღვთაებრივობის საგნების მაგიერ შემოიტანა აკრობატიკა—სალტა მარტალები კინემატოგრაფიული სისწრაფე, ორი საწყისი ნავთის—გარესკნელის და მოძრაობის აქედან კონსტრუქტივიზმი ფსიხოლოგიზმის. ცხადია აქედან თუ როგორ შორს სდგას კონსტრუქტივიზმიდან რუსეთის პოეტი პასტერნაკი, რომელიც ნივთს არ გრძნობს. ნივთის სალტა მარტალოებიდან გარესკნელის და მოძრაობის მთლიანი ფორმიდან გამოდის ერთი აღმშენებლობა, ავანტიურა, მატემატიკური, ფორმულიროვკა მოვლენის და ადგილის. ტაქტილიზმი კიდევ არის რომანტიული კომფორტი. ანქანების გადამღერების შემდეგ მარინეტის ისევ რომანტიზმი შეიჭრა, რომელსაც შეიძლება მეხანიზმის რომანტიკა ვუწოდოთ. პირველათ არის ფსიხიკის კონსტრუქტივიზმზე ლაპარაკი ამ წერილით. კონსტრუქტივისტული მიდგომით ფსიხიკა გადადის ნივთამდე. ეს არის კიდევ ახალი ნივთი რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ მომავალში შესაძლებელი იქნება ვრცელი გამოკვლევა პონსტრუქცია ფსიხოლოგიზმის პოეზიით.

**შენიშვნა:** $H_2SO_4$ საზოგადოებას თბილისის ამერიკანიზმ სთვის გასწევს მთავარ შრომ ს სათანადოთ არის უკვე რამოდენიმე პროექტი მხოლოდ პოეზიის ეხება.

ფაქტიდან ცხადი არის პოეზიის საჭიროება, როგორც უტილიტარული მოვლენის. ამის შემდეგ წარმოდგება ფორმულიროვკა მთელი ნათქვამის **პოეზია ნივთი** ფორმულა: 1═2 მოძრაობის რგოლი x ღერძი y და მიწის ბურთი a პლანეტა უდრის 1 ორბიტის გარშემო მოძრაობის დროს ის აკეთებს მოძრაობის ორს ფორმას: მოძრაობას ღერძის გარშემო და ორბიტის გარშემო, მიწის ბურთი რჩება 1, მოძრაობის ფორმა 2, აქედან 1═2. მოძრაობის მეორე რგოლის გაკვეთის შემდეგ, რჩება მიწის ბურთი კიდევ ერთი მიწის ბუთრის მოძრაობა ორბიტის გარშემო 2 და ღერძის გარშემო 2 და ღერძის გარშემო მრავალი რგოლები.თ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ბურთი უმოძრაოთ წარმოადგენს საგანს.
მოძრაობაში ის კარგავს საგნობრივობას და იქცევა ნივთად (დაბადება რგოლების) ხელოვნებაში რგოლი უკვე არის სუპრემატიული ნივთი. ეს რგოლი იტევს მოძრაობის და მიწის ბურთის ფორმას მთლიანად. (ორი საწყისი რომლის შესახებ ზემოდ იყო ნათქვამი აქ მოცემული არის).
მოძრაობის საგანი გადაჰყავს რამდენიმე ნივთში, მოძრაობა სპობს ერთოულებას და იქმნება ნეოლოგიური ცხრილი a=2 x. =33 y. აქ არის მშობიარობა ფორმების და ეს ფორმულიროვკა უდრის თანამედროვე რიტმს.
პლანეტის გარესკნელის ფორმა უდრის რგოლს, აქედან მოძრაობა და მოცულობა მთლიანად 1=2, პოეზია რომელიც უდრის პსიქოლოგიზმს და თანამედროვე რიტმს. მიწის ბურთის ღერძის და ორბიტის გარშემო მოძრაობით, რგოლები უდრის რიტმს.
მთავარი რგოლის ორბიტის გარშემო უდრის პსიქოლოგიზმს. მტკიცების თანახმად პოეზია—აპარატი ორი საწყისით.
ფსიქოლოგიზმი x საწყისით (მთავარი რგოლი) და y საწყისით თანამედროვე რიტმი.
(ღერძის გარშემო რგოლები) **ასე სრულდება პროექტი.**

**სიმონ ჩიქოვანი.**

---

**ქრონიკა დამზადებულ ლიტერატურულ მასალების:**

## სიმონ ჩიქოვანი:

1. ველიმირ ხლებნიკოვი. (წიგნი ანალიზი ხლებნიკოვის შემოქმედების)

2. ბგერდაყოფა და ორგანიზაცია „წოდებების“.

3. მასალები პოლიტიკური დეკლარაცია. ორი უკანასკნელი დაიბეჭდება „ქერძაფის“ საბჭოს მორიგ გამოცემაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# H2SO4 პოეზიის პარალიტიკებს

**კრეტინების ქარხანა.**

ჩვენ არ შეგვეძლო პრინციპიალური უარყოფის საგნათ გაგვეხადა ქართული ხელოვნება სადაც კულტურის პასუხისმგებლობას გრძნობს ისეთი მასხრული შკოლა როგორც ,,ყანწების" არის. უდავოთ მარჯვენის მარჯვენა ფრთა ეხლაც არაფერს არა გრძნობს და დამშვიდებით მიირთმევს ემიგრაციიდან დარჩენილ კრენდილებს, ეს თაგვების რეპერტუარიდან არის ამოღებული.
რობაქიძე—გამსახურდია ექსპერსიონისტული დრამებით ცდილობს სახელის სპეკულიაციას, თეატრის ყანწიზმით პროვინციით გადაქცევით—სურდა შემოქმედების გასაღებას, „ლონდა" საინტერესო იყო როგორც პირადი სტატიური სიარული გადატანა სცენაზე.
შემთხვევით არ სარდლობდა ,,ყანწელებს" მალარიის დეგენერატა (ქართულ ბულვარული ჭორების შემკრები) იმის შედეგი იყო რომ პოეზია გადაიბარგა ჭაობების კურორტებში. შანშიაშვილი ფურცელაძის და ქვარიანის ისტორიების გარითმის და გრიშაშვილის ავლაბრულ სეზონში ბლოკის ისტერიულ ლექსები სიახლეთ გამოჩნდებოდა ცხადია 14-16 წლის ბრძოლებში ხარჟუხს და ავლაბარი დამარცდა და გამარჯვება იმერულ სუფრას შეხვდა. ამ სეზონშივე იყო არქივი—რუსთაველი სპეკულიაციის თემათ ამ მებრძოლებისთვის, აქედან დაიბადა კომბოსტოს გემოვნება—რომლის შედეგი იყო დიმიტრი ცენზორის—(იგივე ნადირაძე) ავზნიანის ,,ქალაქის" და ბოლო შეტრუსული ფარშავანგების რევოლიუცია მოევლინა ქართულ ხელოვნებას. უკანასკნელ ლექსში ფრინველბი ახდენენ რევოლიუციას რომლებიც მოპარული არის ბალმონტის და ბრიუსოვის კასტრალურ ზოოლოგიურ ბაღიდან.

ეს უდღეური ბრძოლები სწრაფი მიღებით დასრულდა რადგან ტრადიცია ამ სკოლას შეუქმნა არიმათელმა და „თეათრი და ცხოვრებამ" სადაც პირველათ იბეჭდებოდენ ყანწელები) ფორმალური მეთოდის სიახლე თოთხმეტ მარცვლების რეფორმატორებმა სონეტით განსაზღვრეს. „რტოებით-განმარტოებით—„სწორი", „ორი" ლექსი ალექსი—ამ პოეტებმა შემოიტანეს პირველათ—ეხლა მაგის უნარიც დაეკარგათ და დრო გამოშვებით თავისუფალი ლექსით აღიღინდებიან (თუ გნებავთ აყროყინდებიან ტაქტი არსად არ არის საჭირო) როგორც მოშლილი გრამაფონი. ისინიც გრძნობდენ გრამაფონთან ნათესაობას და ლირიკულათ გამოაცხადეს უკვდავება მისი მომგონის. სამააყო არაფერი არ დარჩათ წარსული ბრძოლების მოგონების გარდა. ამისთვის არსებობს მოგონების არხივი ტიტე ტაბიძე—მოგონებში რაც გამორჩენილი აქვს ტიტეს, ის არის რომ პირველ გამოსვლებში ყანწელები ეფარებოდენ გალაქტიონ ტაბიძე გრეხვა და კაბას და გრიშაშვილის აბანოს. ცხადი არის ორბელიანის აბანოს პატრიოტები დიდხანს არ დაივიწყებენ თავიანთ წარსულს. ამ პარალერების მოყვარულ ხალს შეუძლიათ ინგოროყვას (ჩახრუკაძეზე შემჯდარი მოგზაური მხედარი) საკრალური ნათესაობა მონახონ აბანოებსა და ორბელიანის პოეზიის შორის. თემა გოგირდის სუნი. ჩვენ ვიცით რომ „კეთილშობილ ხალხს აღელვებს ამ წერილის ტონი" ჩვენგან მოწინააღმდეგე ბანაკისთვის არსებობს გინების ტრადიცია" ყოველ შემთხვევაში ყველა ეპიტეტი მათი ნამდვილი წოდება არის— რა უნდა ამ ხალხს არავინ არ იცის. ქალის ფერ. უმარულზე დამყარებულ თეორებით მესვეურებდენ ლიტერატურ მოძრაობას. ეხლა უკვე საკმაოთ გამოირკვა—გომართელმა წარმოადგინა ნუსხა მთლიანი ფრონტის. როგორც ასტი—იაშვილი უდრის თავაძეს—ტიტე ტაბიძე—საშა აბაშელს. გრიგოლ რობაქიძე გამსახურდიას—ვ. გაფრინდაშვილი—ციყვს რომელიც სარკეში ზის და რომლის ამოყვანაზედაც ის ოცნებობს. როდის მოისპობა ეს ნაგავის მკლევარებმაც დაიწყეს მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 40

ზაქარია ჭიჭინაძემ არქივში ჩარგულ გვამების გადაფასების შემდეგ ,,ცისფერების‘ ·გადაფასების შეუდგა (იხ. ,,ბახტრიონი“ „ლიტერატურის რეფორმაცია“).

ცხადია ჭიჭინაძის და გომართლის გამოყვანილ ხალხს პირდაპირი ბრძოლა არ შესწევდათ და კაბინეტებიდან ჭორიკანობით ცდილობდენ „ბარიკადები“-ს გამაგრებას.

როგორც ყოველთვის მობინადრე ბანაკს ტონს აძლევს გრიგოლ რობაქიძე—„ახალი ვაჟი“· კარდონის მუმია. „ბერდო ზმანია“-ს რეცენზენტი „გივი გოლენდი“ გივი გოლენდი წარმოსდგება ლეო ქიაჩელის გმირ „მითოლენდია“-დან. ლეო ქიაჩელი იყო პარიზში. დაბრუნების შემდეგ დასწერა „ტარიელ გოლუა. კასრაძე, რობაქიძე, პაპავა, გამსახურდია—ყველა ევროპიელები არიან.

პატივცემულ ევროპიელებს კალოშები გემზე დარჩათ და ვერბიცკაიას ბულვარულ შემოქმედების სეზონი ტკბილათ გაატარეს.

„როსკიპი“, „ლონდა“, „მალშტრემ“, „სოლეილ დორ“ და „გოლუა“ (ლ—მეგრულათ გამოითქმის) მათ კალამს ეკუთვნისთ,

ტიტე ტაბიძე—ქართულ იგავ-არაკების ავტორი. „ნიანგი“-ს ოპონენტი. კოგანით ლიტერატურულ შკოლების დალაგება შეითვისა. მისი სისტემით დასწერა მონოგრაფია „მემარცხენეობის პრობლემა“. უკანასკნელათ მოინდომა საიქიოში ჩონგურის დაკვრა. (ასეთი კურიოზები იცის სიბერემ) რუსულით სთარგმნა ფრანგ დადაისტების მანიფესტები.

აქ მოსახსენებელია პრეტენზია ლაფორგზე. სეზონში ლაფორგის ირონია ბერანჟედან ბევრად არ განსხვავდება. ტაბიძის პრეტენზია მაინც მიუღებელია.

ლაფორგს ქონდა სმენა და ხმა. მისი ყველა ლექსები დაწერილია ასოების როგორც გრაფიული ისე მუსიკალური ფასის დაცვით.

ტაბიძის მეტყველება არის ბალალაიკის სტილი: ტიტეს არა აქვს სმენა. ქალდეას მისტიკა და ირონია ერთად დეზინტერიის დროს თუ მოთავსდება. შეიძლება აქ ზოგიერთათვის რეზინის მილიც იყოს საჭირო.

ვალერიან გაფრინდაშვილს უკანასკნელათ არაფერ როლს არ თამაშობს. მხოლოდ იძახის ქუდის მოხდით: გაუმარჯოს ვალერიან გაფრინდაშვილს.

10 წლის განმავლობაში ბრიუსოვისა და გუმილიევის (და არა მალარმეს) გადამღერება მოუნდა.

კოწია გამსახურდია რუსულ ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიულ წერილებით კითხულობდა ლექციებს და პროსპექტზე უკანასკნელ მოდის ფრაკით დაიარებოდა.

— ექსპრესიონიზმი მე მოვიტანე ბერლინიდან და გავლენა მოვახდინე რობაქიძეზე. ფუტურიზმი მოდაა. იგი პაოლო იაშვილმა ჩამოიტანა პარიზიდან. ორივე ჩამომტანლები ვართ. (მისი მოხსენების მთავარი თეზისი).

პავ. იაშვილი გამოდის დამცველათ ყველა ნაგავის, რომელიც დარჩენილია საქართველოში სიცარიელის ამოსავსებათ.

აკაკი წერეთლის დასრულება უფრო ადვილი იყო და ეს ბედი იმერულ თავად-აზნაურობიდან იაშვილს რჩება.

პ. იასშვილი სწერს ლექსებს ოდებს ყველა დაბადებულთა და გარდაცვალებულთა სახელზე. იგი არის პოეზიაში მეთაური „მმაჩის“ ბიუროს დაარსების.

უკანასკნელათ გამოდის ახალგაზდა ბელეტრისტის როლში. ვეჭვობთ რომ გასცილდეს ავერჩენკოს

იუბილეები ისე უხარია, როგორც საქართველოში მადანის აღმოჩენა. მეორე ტაბიძე, რომელიც კრიტიკული ეტიუდებით აღრზდილ კოკის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

ორივე ძმებმა ტაბიძეებმა ძალიან ისარგებლეს ნადსონით, თუ გალაქტიონმა პირველი სტადია დაიწყო, მეორე დაასრულა ტიტემ. აქ ალბად სისხლის ნათესაობასაც ქონდა მნიშვნელობა.

უკბნასკნელად არსებობს სიტყვა „ყანწები“ რომლითაც ძლიერ ამაყობს პოეტების ცისფერი ორდენი· თავადაზნაურული ინტუიცია ხომ ყანწებს არ გასცილდებოდა. ამიტომ მთელი იდეოლოგია და პრაქტიკა „ყანწელების“ იყო იმერული სადღეგრძელოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალ პოეტებს შარშანდელ წლის განმავლობაში დამსახურებათ ჩაეთვლებათ იუბილეებში გულუხვი და სახე-გაბრწყინებული მონაწილეობა.
პროექტში დგას იუბილეები პავლ იაშვილისა და გრიგოლ რობაქიძის. ეს უკანასკნელი კარგა ხანია პენსიას იღებს, როგორც ინვალიდი.
საუცხოვოდ ჩატარდა სათაურების გამოგონება: ლომისი, ბახტრიონი, რუბიკონი, ლაშარი, ხომალდი, უქიმერიონი, ასპიროზი და გამოდის გოგლა ლევანიძის რედაქტორობით გაზეთი **„ყარაიაზი“**
„ქართული სიტყვა“—(русское слово—Я. Гогебашвили) ვახტანგ კოტეტიშვილის გაზეთად გადაიქცა აქ გროვდება საქართველოს მთელი სანაგვე მასალები. პოეტები ანბანზე მოინახებიან.
„ყანწელები“-ს სარეზერვო პოეტები (გრიშიკო ცეცხლაძე და შალიკო აფხაიძე) ჩვენს რეკლამებს ლექსავდენ და ამით არა ლეგალურათ სწყვეტდენ „მემარცხენეობის“ პრობლემას.
რა უნდა სთქვან კრეტიკოსებმა, როცა მათი საყვარელი პოეტების ლექსები იმღერება „ახ იაბლოჩკა“ „არშინ მალ-ალან“ „შამილი“ ბაიათები და იმერულ სიმღერების (სანთელი ქრება, ჩამოირბინე შენ ჩემს საფლავზე და სხ.) მოტივებზე.
ფაქტები:

**გრ. რობაქიძე:**

ვერის ხიდზე – სულთან-ბეგმა გაიხარა (არია არშინ მალ-ალანიდან)
ორლობის ეშაფოტი—თამრიკო მოწამლულა.

**ტიციან ტაბიძე:**

ბირმანიის ტყე.

**პაოლო იაშვილი:**

ტანიტ ტაბიძეს
ალი არსენიშვილს
პავლე ინგოროყოს

**გრ. რობაქიძე**

ვასილი კამენსკის

**ვალერიან გაფრინდაშვილი:**

ფანტასტიური საფერფლე
მაჩაბელს

**გალაქტიონ ტაბიძე:**

ლურჯა ცხენები—შამილი. შავი პელიკანი—ვაშა-ვაშა (არღანის მოტივი)

**ი გრიშაშვილი:**

ყველა მისი ლექსები იმღერება სოფლის გიტარაზე.

ამით არ სრულდება პარალიტიკების მოღვაწეობის ნუსხა. ამათ დაკარგეს ორგანიზაციული გამოსვლების უნარი და არალეგალურად ეფარებიან სხვა და სხვა ჟურნალებს საიდანაც სცდილობენ თავიანთ ბულვარულ შემოქმედების გასაღებას.
სათანადოთ არსებობს მოსე თოიძე და კინტოების დირიჟორი გუდიაშვილის კასტრაციის მომხდენი ახალხაზდა მხატვრები, რომლებიც ხილის გასახვევ ბეჭვდითი მასალას ილიუსტრაციებს უკეთებენ.
მარჯნისფერი დურუჯი ზოგიერთ პოეტს საექსპლოატაციო მასალათ გამოადგა. „დურუჯი“, რომლის რევოლიუციონური მნიშვნელობა ხელოვნებაში უდრის „მაფალუ“-ს როლს პოლიტიკაში.
ამიერიდან ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნების ანტი-სანიტარულ მდგომარეობას და დაწყებულ გალტაბ ტიტტაბიდან კასრაძეთი დათავებული გარეკილ იქნენ შემოქმედების არენიდან.
ჰაერის დასაწმენდი რეცეპტი მოცემული არის.

ახ იაბლოჩკას
მოტივზე

# H2SO4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ შენგელაია

# მოხსენება პირველი

ჩვენ ასე ვამტკიცებთ
ყირამალით
შეგვესო გამარჯვება.
დამალვით
ვერავინ გადარჩება,
ლექსების სვეტებით
რიგებში ვერ ვეტევით
**შეტევით**
**გავყარეთ.**
**გარეთ**
**—არეთ**
**მხარეთი**
**მდარეთი**
**გარეტდით**
**კარეტით**
პარიტეტი:
პოეზია ასეთი — ამდენი პოეტი.
გამოიცვალა.
მტკიცეთ...
გამართული მხრები
**მოვედით**
**ლერბით**
**ს ს ს რ**
**ერთად...**
ბეჯითი ნაბიჯით პირდაპირ
დროშები დროშები დროშები
წითელი წითელზე ფერდაფერ
იარრ...
რევოლიუციონერებო!
სალამი სარდალს.
მარცხენა...
რიგრიგათ მარდად.
მარცხენა...
მარცხენა ამარცხებს.
სისხლის ქარტეხილით ძარღვებში.
ღმერთების ბებრების კუნტების.
ჩვენ უარმყოფელი დამრღვევი
მედგარი
ფოლადის კუნთებით
მომავლის ანთებას უნდებით,

41

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო!
თეთრკანიანო:
ელექტრონო, რადიო პროპელერო.
ზანგებო:
მაღაროებო ქარხნებო ტანკებო
თქვენ ძმებს:
წარმოებებს მასალებს საგნებს
მაგარ და რბილ სხეულებს
მოგმართავთ.
ათასი პლანეტის დაწოლაც ვერ შეაჩერებს
იმარჯვებს ნაღდათ.
გულებში დასახლდა
ახალი ბედი.
სიყვარული ჩვენი
დედამიწას რომ აბრუნებს ლვედი
მანქანის ქშშენით.
**მუშა**
**მუშა**
**მუშა**
**მუშა**
მუშა ამშენებელი გონება
მუშა რკინა ღონე და
მუშა პოეტი ორატორი
მუშა დიქტატორი
მუშის მუშტი
**ურო**
რომ აპობს ქონიან ღიპებს
და შირონცხებულ ჭიპებს.
მკერდი დედამიწის მოდიდდა,
მდუღარე მადნების ამოსუნთქვით
ცხელ მაღაროების ყრონტიდან
გრგვინავს
კუნთებიანი ხმა
ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ა ლ.
სმენაა...
პოეტებო გასწორდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სათაური.

კლდეებით ყბები გაჭედილი
ჩემი ყელი დარიალი
მიბჯენილი სვანეთის მადანს
გრიალებს.
1000
აწევა ბექით,
რკინის ბურთებათ
არგვალებს ბგერას
კბილების გრდემლზე
ფილტვებიდან ჩაქუჩის დარტყმით
ხურდება
ბარრიკადებით ახეთქილი რიტმის მაჯიდან.
**თქვენ** პოეტებო!
„მგოსანი ბოსტანი''
რომ გაჩენდათ
წარწერა დაღებს
მწვანე ბაყაყებს
ლექსებს სწერდით საქართველოზე,
გაფრენდათ ვნება
სასადილოს სოველ შკაფიდან
გადმოცვენილი ხვლიკებივით დანაჩანგლების.
რომ ასუქებდით
კუჭ გაბერილი ლექსიკონებით
მჟავე ცრემლებით გამომბალი სონეტის გვერდებს.
**გაგაცლით ღმერთებს**
რუსთაველის თანდამატებით
ანდამატივით საფლავებში რომ გექაჩებათ
ვეფხვის ტყავიდან
საკუთარიც აღარ დაგრჩებათ.
**თქვენ** რომ
ოცნებას სწურავთ სოველ ცხვირსახოცივით
ქალბატონების უბეებში დამბალ ცხვირიდან
და ფერდ ჩაკვენილ როიალის დახველებიდან
წიწილებივით კენკავთ გამხდარ ნოტების წვერებს,
**თქვენ** ნიჭიერებს.
ჩითებივით რომ დაფართხალებთ
გაპუდრულები
გაპარსული
გატრუსულები
ვის ენალვლებით?

42

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეციანი ქუჩის ძაღლივით
ბაზრის თხრილებში რომ გაძღება კატის ფაშვებით.
შარვალებიდან გადაშვებულ
სქელი მუცლებით
პოეზიაში გაქანებას რომ გვედავებით
სამხარეულოს რაინდებო
თქვენ ხართ უძლევი
გასტრონომიის ვიტრინებში ღორისთავივით

## იუბილიარებო!

დააცხინკვეთ: წმინდაო დავით!..
კბილებ გამოხრულ პოემებით დახუთულებო
ძირ გაცვეთილი მესტებივით დაიარებით
ჭკუის თაროზე გალაგებულ მემუარებით
მიიღეთ ჩემგან საჩუქარი
ღია ბარათი:
—საუკუნო ხსენება
საიქოის გალავანში ჭენება—
მოქალაქენო!
გამოიცვალა პარადი:
წვრილ ცოლშვილიანი პოეზია
კარრში.
Allez
(ორკესტრს)
სამგლოვიარო მარში.
**არბიტრი:**
**ნიკოლოზ შენგელაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული ხელოვნების ინვენტარი სრულიად არ არის გამართლება ეპოქის. ხელოვნება მე მესმის როგორც ორგანიზატორი ცხოვრების—თუ გნებავთ სხვა განსაზღვრაც შეიძლება,—ხელოვნება—**აზვერაობა** აღმაშენებლობითი სეზონში. ქართული ხელოვნება ხსენებულ საზღვრებს სრულიად დაშორებული იყო H2SO4 საბჭოს დაარსებამდე. ამის ახსნა იდეურ წინააღმდეგობასთან უპოტეხციობითაც შეიძლება. ამისთვის ქართველი ხელოვანი ყოველთვის იყო გადამღერების პიონერი.

ქართული თეატრი განსაკუთრებით დიდ მიღწევებს იჩენს ინსტიტუტკებისთვის სასიამოვნო რეპერტუარის გამოფენაში. სამწუხაროთ ინსტიტუტკები ძლიერ მცირე რიცხოვან მასსას წარმოადგენს და ქართული თეატრს არ ყავს აუდიტორია. აქ ქართული თეატრი არ არის თემა.—საერთოდ თეატრი არსებულ სტრუქტურით, წარმოადგენს ნიღაბების ნიღაბს (მთავარი ნიღაბი რამპა და შემდეგ გალიაში როლის ნიღაბები—თითქოს მტრედები ან ზოოლოგიური სამხეცე იყოს.) ის სრულიად შორდება ცხოვრებას და აკეთებს ნაბიჯს აბსტრაქციისაკენ—ამასთან როგორც დახურულ მოვლენას აქვს პრეტენზია სიმბოლიზმის პატენტისა ან საერთოდ რომანტიზმის ტყავ გამოცვლილი შკოლების. ამ გაგებით საზღვრავდა ევრეინოვი თეატრს და საერთოდ ნიღაბების მოვლენას. შემდეგ ეს გაიმეორა ტ. ტაბიძემ—როდესაც მოინდომა სიმბოლიზმის თეატრალურ ფილოსოფიათ გამოცხადება. რასაკვირველია როგორც მასწავლებელს ისე მოწაფეს ამ მტკიცებაში გამოუაშკარავდა სრული გაუგებრობა თეატრის და ნიღაბის.—მაგრამ მტკიცებით ეს სხვა სეანსში.

ცირკი სცოცხლობს—ცხოვრებით. ცირკი აერთებს მასსას და აქტიორს; აქ დაღწეულია საზღვრები შემოქმედების და აუდიტორიის ათვისების შორის. ამისთვის თეატრზე მეტ გამძლეობასთან ერთად მას აქვს მეტი საშვალებაც აიღოს მოვალეობა ორგანიზატორის. ცირკის მიზანი არის მასიური მოქმედება. (массовое действо.) მაშინ ცირკიული ნიღაბი მოცემული არის როგორც მასალა შემქნელი ახალი ნებისყოფის და კოლექტივიზმის მთლიანად. სწორედ აქ უდრის ცირკი რეალობას—და გარეშე არის ყოველგვარ აბსტრაქციის. **კონკრეტი:** თეატრი სცხოვრობს განყენებულ ფაბულით (არსებული თეატრი) ცირკი ცხოვრების გასწორებით. ქალაქის დინამიზმი და მის მიერ გარდაქმნილი განწყობილება რადიკალურათ სპობს განყენებას, როგორც დაღუპულ აზროვნების ნაშთს. **კონკრეტი:** ძველი თეატრი კვდება—რეცეპტი მოდის ცირკით. სათანადო ცდა მოახდინა მეიერხოლდმა, რომელმაც რამპა მოსპო და ჩამოაყალიბა მასიური მოქმედებები. ამ ცირკს ეწოდება რუსულათ „усовершенственный цирк“ გაუმჯობესებული ცირკი, აღსანიშნავი არის აგრეთვე მოსკოვის პროლეტკულტის ახალგაზრდა რეჟისორი ეინზენშტეინი—მან შექმნა თეატრი—„მონტაჟი ატრაქციონების“ გააერთა კინომატოგრაფი და ცირკი. პარიზის ცირკი უკვე ამარცხებს თეატრს. რუსი ფუტურისტი ვალენტინ პარნახ—ფრანგ პოეტს და ხერეოგრაფ ჟან კოკტოს უწოდებს პარიზის მეიერხოლდს. ჩვენ მოგვდიოდა ფრანგულ გაზეთებით უკანასკნელი ცნობები ამ დადგმების შესახებ. დიდი ქრონიკორის კერძო ცნობებიდანაც ხარკოვში ჟან კოკტოს მიღწევებით ვიგრძენი აღტაცება. აქ მუშაობენ ცნობილი კუბისტი მხატვრები—პიკასო და ლეჟე. აღნიშნავენ—„პარადებს“ „ქორწილს ეიფელის კოშკზე“ და სხვა მრავალ პანტომიმებს. არ აკლდა თანდროულ მოძრაობების კონსტრუქტორი ჩარლ ჩაპლინის გავლენა და ხორეოგრაფიის უკანასკნელი აღმოჩენები.

ეს ქრონიკა ამტკიცებს ცირკის გამძლეობას და საჭიროებას;—ამასთანავე იძლევა გაგებას მომავალი ცირკის რაობის. ხალხური შემოქმედება ყველაზე მეტად ახლოს სდგას ცირკთან. ხალხის კოლექტივი ყველაზე მეტათ შეიძლება გამოაშკარავდეს ცირკში. ხალხის ხორეოგრაფია და ჯამბაზობიდან იწყებს ცირკი თავის შემოქმედებას და მოდის თანამედროობამდე. შემდეგ კუთხობრივ რევანშით ტყდება—ბრუნდება—(наоборот) ეს მეოთხე გაზომის გადმოღმა გადმოდის. ამისთვის თანამედროვე ცირკი უნდა იქნეს კუბისტური გაგებით შექმნილი. პრიმიტივიდან გადმობრუნების შემდეგ კანაფებს და მოძრაობის ხაზი უფრო ხშირათ ვერტიკალური არის და ორიზონტალობას დაშორებული—ორიზონტალობა როგორც სიბრტყითი მიმდინარეობა.

ცირკის საჭიროების პერიფერიული არგუმენტების შტრიხები ასე სრულდება.

საკვირველება არ არის რომ ინიციატივას ქართული ცირკის დაარსების კისრულობს H2SO4—სათანადოთ მას ქონდა მისი და უცხო ფუტურიზმის ტრადიცია—რუსული ფუტურიზმის გამოსვლები ხდებოდა ცირკიული ფსიხოლოგიით, გამოსვლების ასპარეზიც უმთავრესად ცირკი იყო. სადაც ხშირათ

ფუტურიზმის მრავალი ბრძოლები ცირკის დარბაზმა გაიტანა. იქ იყვნენ ხლებნიკოვი ასეევი— რუსული პოეზიის დღევანდელი სარდალი და ტრიბუნი ვლადიმირ მაიაკოვსკი. ჩნდებოდა ტრეტიაკოვი, ნიორკის პოეტი და რუსული ფუტურიზმის ორგანიზატორი.. დავიდ ბურლიუკი და სხვა. ბულვარული გაგება ცირკის ეხლა უნდა იქნეს უარყოფილი. შეიქმნეს გაუმჯობესებული ცირკი (усовершенствованый цирк.)
ქართულ პრიმიტივს სათანადოთ აქვს: ჯირითი ხანჯლების თამაში, საზანდარი შაირობა დღეს მექანიკურ ქალაქში ის იცვლება და ღებულობს ახალ სახეს— რომელიც იტევს.: ბიომეხანიკას (მეირხოლდი.) ძველი ბალეტის მოსპობისთვის ბრძოლა— და მანქანების მოძრაობები— ან თეატრი მასალების (ფორეგერის ცდები) ჯაზბანდები—ხმაური ორკესტრი— (საწყისი იტალიურ ფუტურიზმიდან. საფრანგეთში ექსტრემისტები– რუსეთი ვალენტინ პარნახ.) აგრეთვე მოსკოვში ამას წინეთ მოწყობილი ქარხნების სიმფონია— მასსა— კლოუნიადა— აკრობატიკა და მრავალი თანამედროვე მოძრაობითი ხელოვნება ქმნის ცირკის მასალას, ჩვენ აქ ვიცემთ ცირკის აკტიორის საზღვრებს – მთავარი დებულება ცირკი-სანახაობა— ორგანიზატორი მასიური კოლექტივის. ქართული აგქტიორისთვის ცირკიული გამოსვლა

სამარცხვინო მოვლენათ გადაიქცა. ყოველ შემთხვევაში ეს განწყობილება არის დღესაც. ეს უნდა მოისპოს. ქართული ცირკის დაყოვნება შეუძლებელი არის.—
HS040 საბჭოს სათანადო ცდები უკვე დაყენებული აქვს – გამრეკელის მიერ წარმოდგენილი იქნება პროექტი ცირკის ახალი შენობის. სრულიად უცხო სისტემის. ნიოგოლ ჩაჩავას შეხედულებით ცირკს უნდა დაერქვას „ხედეირა“ რომელიც წარმოშობული არის სიტყვა სანახაობიდან. ცირკი – არის მიზანი თანამედროვე პოეტების მხატვრების—კანსტრუკტორების სპორტცმენების ხელოვნების მუმაკთა კავშირის მემარცხენე ნაწილის – საჭირო არის სწრაფი მოქმედება ქართული ცირკის შასაქმნელათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ალხაზიშვილი

# ამერიკანული დუელი

რა საჭიროა ყველამ იცოდეს ჩემი სახელი.
ხუთმეტ იანვარს ათასცხრაას ცხრამეტ წელს
ბერლინში მოკლეს **კარლ ლიბკნეხტ**
ნოსტრადამუსებით ქვეყანა გაივსო.
ამბობენ ასისხლიანდება უნტერ-დენ-ლინდენი.
**მსოფლიო პროვაკატორი.**
ნიჰილისტი ხულიო ხურენიტო ახალი ფორვარდი
კონტოპებს გადისვრის მარდი ფეხბურთით.
ნუ გაგიკვირდებათ რომ
**საქართველოში ყველა პოეტობს**
(მე მირჩევნია შავი ჭირის ეპიდემია!)
არა. მთელ საბჭოეთში არ მოიძებნება
წითელი ლოყა გაუპუდრული რომ ავამღერო.
**მე მინდა ეიფელის კოშკზე**
**ფრიალებდეს წითელი დროშა**
სულ ერთია ფილიპო სუპო
ვერ გადაახტება თავის თავს.
იქნება ხარაკირი. **პარიზი ყირაზე**
ბულვარ დეზიტალიენ. კაფე შა ნუარ.
**საცოდავია ემიგრაცია**
**შატობრიანი. ნოე ჟორდანია**
სალამი დალაილამას. მონღოლიას.
და ერიხ მიუზამს.
ვგრძნობ.
**ყველაფერი აყირავდება**
წითელი პამიდორი დაენატრება ბერლინერ ბიურგერს.
**ჟან კოკტო** პირველი პერსონა პარიზის.
(ვინ არის რაიმონდ პუანკარე?)
ჟონგლიორობა. სენსაცია.
ამერიკანული დუელი.

44

თბილისში ხმები გავრცელდა.

მე მინდა დაივიწყოთ **ჩემი პოეტობა**

ყეფა მთვარეზე. სომნამბულიზმი.

ბალეტომანები. ველოსიპედისტები.

**დიდუბის დოლი**

ამბობენ მიწისძვრა თბილისს ასცდება.

კააბას კანატზე ქანაობენ აკრობატები.

ისტორიას ახსოვს არაბების ჩასახლება კახეთში.

(საჭიროა ამაზედაც დისერტაციის დაწერა)

არის ჟესტიკულიაცია ფლეგმატიურ კახეთის

და **დადაიზმი ფანტასტიური**

საკვირველება აეროპლანების.

მე—ალი—ჰაზი.

არაბი ამპარტავანი.

მოჩანს ბურნუსი. სახარის ქვიშა,

ქარავანი. გიბრ-ალ-ტარიკი.

„მოსელპრომ“. სართულები.

და იაკულოვის ძეგლის პროექტი

**ოცდა ექვს კომუნარების**

პირველი სალამი ჩიკაგოს ტრესტებს.

ხორცის კონსერვებს. არჩებს. გვირაბებს.

ლინკოლ-პარკის ელექტროს შადრევანს.

თვითმკვლელობა მიჩიგანში.

**მე დავასრულე ჩემი ფუტურისტობა**

ახალ კონსტრუქციების. ახალ კომბინაციების

მოჯის ტურისტი. რკინის. ბეტონის.

იცოდეთ ზოგჯერ კინოში გვიჩვენებენ

**ყალბ ტარზანებს**

არ მოსტყუვდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კინო აპოლოგია 45

1. ცხოვრება=ხელოვნება. ხელოვნება=ცხოვრება.

**თეატრი არის წარმოდგენა**

**კინო არის ცხოვრება.**

თეატრი—აბსურდი. თეატრი—ანაქრონიზმი.

სიცრუე პირველი —**თ ატრი არავითარ კრიზის არ განიცდის.**

## თეატრი კვდება.

ვერავითარი გაახალგაზრდება მას ვერ უშველის.

**კინო მოდის როგორც კონსტრუქტორი ცხოვრების.**

თეატრი ყველაზე ყალბი ხელოვნება დღეს ვერავის მოატყუილებს.

თეატრი მხოლოდ სასაცილოა.

**კინო – არის ახალი ხელოვნება.**

ძველ ბუხჰალტერიას იგი არ ემორჩილება. არც ერთ ხელოვნების დარგში ტეხნიკა-ლოზუნგი ტეხნიკა თეორია არ იქცა ტეხნიკა-პრაქტიკად ისე როგორც კინოში.

2. თემა: კინო და რელატივიზმი. დროს და სივრცის გადალახვა. ყოველი ხელოვნება თავისთავად სტატიურია. კინო როგორც ხელოვნება ყოველთვის დინამიურია. სიტყვა არის სიყალბე. კინოში სადაც სიტყვა უარყოფილია სიყალბე არასდროს არ იქნება.

თემა: კინო და მუსიკა. მუსიკა აბსტრაქტიულია თავიდანვე.

**კინო არის ცოცხალი კონკრეტობა.** და რომ აქტიორი არის ყველაფერი ეს არსად ისე არ მტკიცდება როგორც კინოში.

მაგრამ კინო-აქტიორის და თეატრის აქტიორის შორის დიდი განსხვავებაა.

კინო-აქტიორი არის შემოქმედი. თეატრის აქტიორი უბრალო გადამღები. გადამცემი. ეხლა შემოესიენ კინოს ურდოები დრამ-აქტიორების. საჭიროა მათი განდევნა კინოდან. საჭიროა ახალი მასალა-აქტიორი. აქ არის გამონაკლისი. **კონრად ფე-დტ** იღებს კინოს როგორც სტიქიონს. თეატრიდან მას არაფერი მოაქვს. იგი განთავისუფლებულია თეატრისაგან. აგრეთვე **ემილ იანინ.ს**. მაგრამ აქ არის კინოს გენია. ამიტომ **ახალი აქტიორი არის კინო-აქტიორი.** მხოლოდ კინო უნდა ექსპლოატაციიდან განთავისუფლდეს. რადგან საჭიროა **კინო-შემოქმედება** და არა კინო სპეკულიაცია

3. თემა: კინო და თეატრი.

## კინო თეატრი არ არის.

კინო არის დამოუკიდებელი ხელოვნება თეატრის აქტიორის თამაში არის ლოკალური. კინო-აქტიორის თამაში არის მსოფლიო. კიდევ მეტი: ყოველი ხელოვნება ყოველთვის იყო ნაციონალური.

## კინო არის პირველი ინტერნაციონალისტი.

4. კინოდან განდევნილია სიტყვა. მაგრამ ეს არ არის პასივობა. ამაშია აქტუალური ძალა კინოსი როგორც ხელოვნების. თეატრის უკბილო აპოლოგეტებმა გაავრცელეს მეორე სიცრუე: „კინო— „დიდი მუნჯი“. **კინო—მუნჯი არ არის.**

თემა: კინო და პანტომიმა. **კინო არ არის თეატრალური პანტომიმა.** კინოს გაგება როგორც პანტომიმის არის ვულგარობა. დაცინვა.

5. არის პროექტი დიდ სანახაობის. ათასობით მაყურებელი. ხმაური შეუწყვეტელი. სიტყვა იკარგება. ვერ სწვდება სმენას. საჭიროა ყელი—საყვირი. რაც ფიზიკურად შეუძლებელია. აქ კი იბადება უტყუარი შესაძლებლობა. მეტი. **აუცილებლობა უსიტყვო სანახაობის. მომავალი ხელოვნება დიდ მასსების არის ხელოვნება უსიტყვო** სადაც მასსა თავად აქტიურია. ამიტომ იყო ძველ ჰელადაში პანტომიმა მასსიური. სადაც არ იყო სიტყვა. მხოლოდ ჟესტი და ცეკვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს რადიო-საკვირველების ხანაში პანტომიმა კომიკურია თავისთავად. პანტომიმა მხოლოდ უსუფთაო მაკულატურა არის რომლითაც თეატრალებს უნდათ თეატრის გაახალგაზდოვება. სიცრუე მესამე: პანტომიმა თეატრს ვერ უშველის. თეატრი კვდება. **კინო არის ერთად ერთი მომავალი მასსიური ხელოვნება.** კინო როგორც ინტერნაციონალური სანახაობა. თეატრი არის კუთხური. ინტიმური. ოთახური. კინოს აქვს ყოველგვარი შესაძლებლობა. აქედან:

**კინო არის ახალი ხელოვნება.**

6. თემა: კინო და პოეზია. ყველგან ყოველთვის ყოველი ხელოვნება იყო ყბედობა. მწერლობა ყბედობს. პოეზია ყბედობს. თეატრი ყბედობს. გრძელი პოემები. მონოლოგებიანი დრამები. სქელტომებიანი რომანები.

დღეს ყველას მობეზრდა ყბედობა. კმარა. თანამედროვე ადამიანი მოითხოვს: **ნაკლები სიტყვა—მეტი მოძრაობა.**

თანამედროვე ცხოვრების რიტმი თხოულობს ლაკონიურობას. ეკონომიას. ბევრს ჰგონია თითქოს ელექტრონის და აეროპლანის ხანა ქმნის იმპრესსიონისტულ ხელოვნებას. ლიტერატურა გაივსო მინიატიურებით. ესკიზებით. ლექსებით პროზით.

სიცრუე მეოთხე: იმპრესსიონისტული გაგება თანამედროვე ხანის არის სოფლიდან მოვარდნილი პროვინციელის ქრუანტელი დიდ ქალაქების ხმაურისგან გამოწვეული.

წინააღმდეგ. დიდი ქალაქის რიტმი მოითხოვს დინამიურ მონუმენტალობას. და არა იმპრესსიონისტულ ბეცობას. საცოდაობა: „ლიტერატურა“ მუდამ რჩება „ლიტერატურად“.

საჭიროა **გაკინემატოგრაფება სიტყვის.**

7. აქამდე იყო „იდეა სიტყვის“. ეხლა არის „იდეა სიჩუმის“. ბევრს ჰგონია რომ სიჩუმე არის მატერლინკის კათეგორია. შეცდომა თავიდანვე: მატერლინკის სიჩუმე არის მეტაფიზიკა. საბიბლიოთეკო ორნამენტაცია. მისტიური ინტერიორი. დეკადენტური სიდამპლე.

მე ვამბობ: **სიტყვა არის მაკლერი.** სიტყვა—ნიღაბი. სიტყვა—ლაქია. კინოში სიტყვის პრიმატი უარყოფილია. სიტყვის ტირანია ჩამოგდებული.

**უნივერსალური ყბედობა ხელოვნებაში** უარყოფილ უნდა იქნეს.

კინო უსიტყვო ექსპრესსია. აქედან. კინო მუნჯი არ არის. სიმუნჯე არის პასივობა. კინო სავსეა შინაგან პოტენციალურ აქტივობით.

8. თემა: ფორმა და შინაარსი.

ასეთი პრობლემა კინოში არ არსებობს. კინოში ფორმა უკვე თავისთავად იძლევა შინაარს. თეატრში არის ინსტინქტი. ვნებიანობა. კინოში **ავანტიურა შეგნება. ნებისყოფა. აზრი.**

აზრი გაშიშვლებული სცოცხლობს მხოლოდ კინოში. კინო-მიმიკა რომელიც სრულიად განსხვავდება თეატრის აქტიორის მიმიკისაგან აზრის გაშიშვლებაზეა დამყარებული. მიმიკა დეტალების რომელსაც იძლევა ეკრანის პირველი პლანი არის აზრის გამოფენა. თვალები. სახის კუნთები. ხელის თითები. ფეხის მოძრაობა. მაგალითები: კონრად ფეიდტ. მოზჟუხინ. მერი პიკფორდ. აქედან. კინოში არის

**განთავისუფლება სიტყვისაგან**

სიტყვა ჩარლი ჩაპლინის რეჟისორულ გენიალობით სრულიად განდევნილია ეკრანიდან. უკანასკნელი ცნობები გადმოგვცემენ რომ ჩაპლინმა თავის ახალ ფილმაში იმდენად გასაგები გახადა დინამიურობა რომ გააუქმა ყოველი ნასახი სიტყვის კინოში. თვით წარწერებიც კი.

9. **თეატრი დაცარიელდა**

რადგან ძველი მუზები მელპომენა ტალია ტერფსიხორა და ევტერპა რევოლიუციამ ქუჩაში გამოყარა. საჭიროა დაცარიელებულ სახლის დანგრევა. აქედან აუცილებლობა: **თეატრის ლიკვიდაცია**

ცხოვრება გიგანტურ ნაბიჯებით წინ მიისწრაფის. თეატრი კუს ნაბიჯით მიაბიჯებს. თეატრი ყოველთვის ცხოვრებას უკან მოსდევს.

მე ვამბობ: სისულელეა დღეს ლაპარაკი კრიზისებზე. რადგან: **ყველა კრიზისებ განიცდიან საყოველთაო კრიზისს.** ამიტომ **არავითარი თეატრის კრიზისი არ არსებობს.** საჭიროა მხოლოდ დამმარხველ ბიუროს დაპატიჟება.

10. **თეატრი არის ლეში**

ხელოვნების შუა გზაზე გაშხლართული.

და მთელი ეს **დისპუტოლოგია** თეატრის გარშემო რომ არის გამართული სიმყრალეა მხოლოდ. ახალი ხელოვნება მიაღწევს ახალ ჰორიზონტებს. ავანგარდი არის—კინო. ლოზუნგი: რევოლიუცია ხელოვნებაში. ხელოვნება როგორც ცხოვრება. მასსიური ხელოვნება.

**კინო უფრო ცხოვრება ვიდრე თვითონ ცხოვრება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეატრი

# აბსურდი

ვინ არ ლაპარაკობს ეხლა თეატრზე. ყოველ კუთხეზე. ქუჩაზე. დარბაზში. ფილისტერები ყველა ჟანრის და კატეგორიის.
დისპუტი. მანიფესტი. მოხსენებები. ყველა ლაპარაკობს თეატრზე.
თქვენ არ იცით რა არის თეატრი.
საქართველოში თეატრზე არაფერი დაწერილა. არის მხოლოდ კრეტინული ფურცლები რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის.

წარსულში: არავითარი ნასახი თეატრის. ყოველ შემთხვევაში ისტორია არაფერს იძლევა. არქეოლოგებს და საფლავების ამომთხრელებს მივანდობთ ამის გამოკვლევას.

იყო მხოლოდ **გასართობი**

ბურთაობა. ჭიდაობა. მუშტიკრივი. ჯირითი. დოლი. ნიშანში სროლა.
ყეენობა.

აქედან: ქართული თეატრალობა = გასართობი + სანახაობა.

**სანახაობა**
**სანახაობა**
**სანახაობა**

1850 წელს 2 იანვარს ქართულ თეატრალობამ უღალატა თავის თავს. ამიტომ საჭირო არ არის ერისთავ—ანტონოვ—ცაგარლების ყოფა-ცხოვრების გამოფენა.
ეტნოგრაფიზმი. ფოლკლორი. ზოოლოგია. მუზეუმი. ისტორიზმი. არქეოლოგია.
პატრიოტიზმი. ფეტიშიზმი. კრეტინიზმი.
საქართველოში რეჟისორი არ არსებობს. მარჯანიშვილმა 25 სექტემბრის 1923 წლის მოხსენებაში არაფერი არა სთქვა.
არც პროგრამა. არც დეკლარატიული განცხადება. ქანაობა მეიერჰოლდის და ტაიროვის შუა. მეიერჰოლდის თქმა: **ტაიროვი—დილეტანტი „Камерный театр—любительский театр отпечаток эпигонства“.**
ეპიგონობა. დილეტანტობა. ორ სკამ შუა ჯდომა. ყოველი დადგმა მარჯანიშვილის არის

**ეკლექტიური ნახერხი**

აქედან:

**თეატრალური შანტაჟი**

ქართულ თეატრს ოლიმპიელი არ სჭირდება. ბავშვური ხანა დიდიხანია გავიდა.

## ჩვენ თვალებს ვერ აგვიხვევთ

**სუროგატი არ გვჭირია.**

საქართველოში აქტიორი არ არსებობს. დამშეულ ხალხს პური მიეცით.

**„დურუჯი“ კარტოფილია.**

მიმიკრია კუზიან ზურგზე. რეცეპტი — მაიაკოვსკი:

„Это что!—
пиджак сменить снаружи,
Мало, товарищи! Выворачивайтесь нутром“

## დურუჯი არის პიჯაკი

ახალი თემა: ჩიჩერონნე და კორპორაცია. საპნის ბუშტი. ამალგამა ექსკრემენტების.

საოცარია ფანტასტიური თეატრალური ხეტიალი ფრიდრიჰ შრედერის.

**წადით კინოში.** ნახეთ **კონრადტ ფეიდტ.**

ქართული თეატრი იხსნება სანახაობის ხაზებით.

ჯამბაზობა. ატლეტიკა. ტანვარჯიში. თეატრი—სანახაობა.

კიდევ: საჭირო არ არის მთელი **ბალასტი** ქართულ თეატრის მომთმენ ზურგზე რომ მოგროვდა კოშმარულ კუზად.

ქართულ თეატრს უნდა სამუდამოდ მოეჭრას **კ უ ზ ი**

აგრეთვე ახალი ბალასტი: თანამედროვე ქართული დრამატურგია

## გადაყარეთ ნაგავი

მოკვდა რეალიზმი. ნატურალიზმი. იმპრესსიონიზმი. სიმბოლიზმი.

გაცვდა საარქივო რეპერტუარი. ანაქრონიზმი დრამის.

რა საჭიროა ექსპრესსიონიზმის ხელის ჩაჭიდება.

## ექსპრესიონიზმს თავი დაანებეთ

ქართულ სცენას არ ესაჭიროება ექსპრესსიონისტული ბარახლო. არც პსიქოლოგიზმით და „რევოლიუციონურ“ მისტიკით გამსჭვალული ერნესტ ტოლერ. არც ტოლსტოიზმის აგრარულ იდეებით და „ანდრეევშჩინით“ გაბერილი გეორგ კაიზერ. არც ფილოსოფიურ ლირიზმით და მისტიურ ქრისტიანიზმით ალსავსე ფრანც ვერფელ.

ძველი ტრაგედია დაჭიმულ ძარღვებით გამობერილ თვალებით არავის აინტერესებს.

შექსპირი მისაღებია როგორც ფარსი და ცირკი.

ვინ არ ამთქნარებს შილერის და ანტიურ ტრაგედიებზე.

სალამი: **ვსევოლოდ მეიერჰოლდ.** მისი გზა—ბალაგანიდან. გოცცის „ზღაპრულ თეატრიდან“ შემდეგ. დინამიკა. ტეხნიკა. მექანიკა XX საუკუნის.

ადამიანი მექანიური ტიკინი. ავტომატიზმი. თეატრი—ცირკი. თეატრი—ბალაგანი.

## თეატრი აბსურდი

თანამედროვე ქალაქის ელემენტები: რესტორანი. საროსკიპო. თეატრი.

ყოველი იდეური თეატრი ძროხაა რომელიც იცოხნის.

თანამედროვე თეატრს
კლავს **ბუასილის მისტიკა**

საჭიროა **ტვინის ემანსიპაცია.**

იდეა როგორც ტრიუკი. მეტი ფაკტები. ნაკლები სიტყვა.

საჭიროა სცენა და არა დრამა. აქედან: სცენიურობა. მოძრაობა. ეკვილიბრიზმი. კლოუნადა ჟონგლიორობა. ეკრანიზაცია.

# აქტიორი
# აქტიორი
# აქტიორი

47

ახალი აქტიორი — აქტიორი შემოქმედი. აქტიორი — იმპროვიზატორი.
აქედან: თეატრი გამოგონების. თეატრი — აფიშა. თეატრი — პლაკატი.
განთავისუფლება აქტიორის ლიტერატურისაგან.
სიტყვისაგან.
პოეტისაგან.
რეჟისსორისგან.
მხატვარისგან.

აქტიორი ყველაფერია.
ზედმეტია რიტორიკა. პათოსი. ადიულტერი· საჭიროა ანეკდოტი. ინტრიგა. ნერვები როგორც ცირკის კანატები.
კმარა ტირანია „საკითხავ დრამების".
**თეატრი წიგნი არ არის** რომელსაც ადამიანი კითხულობს მეშჩანურ ბუხართან სავარძელში თბილად ჩამჯდარი.
**თეატრი ოთახი არ არის.** უნდა დაინგრეს სამი კედელი. მეშჩანური ყუთი თეატრის საჭიროა არენა. კოლიზეი. იპოდრომში.
**თეატრი სარკე არ არის.** ცხოვრება თვით ხდება თეატრი. თეატრი გადადის ცხოვრებაში. ქუჩაში. მოედანზე. ჰაერში. ზღვაზე.
**თეატრი სკოლა არ არის.** იგი არ იძლევა არც ტვინის ტრენიროვობას. არც მანერების. აღზდას. არც სამოდო სალონურ კოსტიუმების და ფეხსაცმელის გამოფენას.
**თეატრი ტაძარი არ არის** სადაც სანთლებით ფარჩით ცრუ პათოსით იმართებიან მისტერიალური ცერემონიები.
**თეატრი — კლინიკა არ არის.** დეკადენტებისთვის. სიმბოლისტებისთვის. ექსპრესიონისტებისთვის· და მისთანა ნაგვისათვის.
არსებობს **საავადმყოფო.**
კომედია როგორც უაზრობა. ტრაგედია როგორც გასულელება.
სიუჟეტი რაც უფრო იდიოტურია მით უკეთესი თეატრისთვის.

## თეატრი აბსურდი

რა უნდა პოეტს თეატრში საჭიროა განდევნა პოეტის თეატრიდან.
აქტიორი როგორც იმპროვიზატორი· პოეტი საჭირო არ არის.
პოეტი მისაღებია მხოლოთ როგორც **სცენარი.**
აქტიორის იმპროვიზაცია — მიმიკა და ჟესტი. სიტყვა როგორც ჟესტი და მიმიკა. ტარზანი მოქმედების. ჩაპლინი მოძრაობის.
აქტიორი

## თეატრის რადიო

აქტიორი როგორც ავტორი. რეჟისორი. მომღერალი. მოჭიდავე. მოცეკვავე. ჟონგლიორი აკრობატი. კლოუნი.

## დინამიური აქტიორი

სხეული აკრობატი. თეატრი დინამიურ აქტიორის. პრინციპები: დინამიური მეტრო-რიტმი. რიტმის და მოძრაობის კარნავალი.
იმპროვიზაცია იძლევა შემთხვევას.
სიახლეს.
სიურპრიზებს.

ყოველთვის ახალს. გასაკვირველს. საოცარს. დინამიურს.
ამიტომ: უარყოფა მთელ აქამდე არსებულ დრამატურგიის. რეპერტუარის.

## საუკუნოების ნაგავი

რეპერტუარი როგორც ეპოქის ფუნქციონალობა. ექსტრაქტი ყოველდღიურ დინამიურობის. რეპერტუარი როგორც პრაქტიკა აქტიორის იქმნის ყოველდღე. დღეს. ხვალ. ზეგ. მაზეგ. ყოველთვის.
რა უნდა მხატვარს თეატრში. მხატვარი საჭირო არ არის. საჭიროა მხატვრის განდევნა თეატრიდან.

ახალი მხატვარი არის **თეატრის ინჟინერი**

სქემატიზაცია ან სრული უარყოფა დეკორატიულობის თეატრში. თეატრის ინჟენერია. კონსტრუქცია სცენაზე. კონსტრუქცია სივრცეში.
სცენის კონსტრუქტიული გაფორმება.

## ვერტიკალები

თეატრი მხატვრობის გამოფენა არ არის. საჭიროა კონსტრუქტიული აგება. აშენება ნივთის. და არა დეკორაციები. განათება და არა ფერები. მაგრამ მიახლოვება კონსტრუქტიულობამდე რომლითაც ასე დასნეულდენ დღეს ყველა თეატრები
**არის ესთეტიური კონსტრუქტივიზმი.**
ესთეტიურობა კი ისევ წმინდა დეკორატიულ მიზნებს ემსახურება. ესთეტიური კონსტრუქტივიზმი არის მემარცხენეობის ავადმყოფობა.
რა უნდა რეჟისორს თეატრში. რეჟისორი საჭირო არ არის.
რეჟისორი როგორც თეატრის ტრამპლინი. მორზეს აპარატის „ტოკი“. ედისონის ფონოგრაფის ფირფიტა.
კინო—მონტაჟი. ატრაქციონი. ცირკი. რევერანსი ძველებში: ფრიდრიჰ შრედერ.

ახლებში: **ჩარლი ჩაპლინ**

## დუგლას ფერბანკს

რა უნდა მაყურებელს თეატრში.
მაყურებელი—რადიო-მიმღები. თეატრის რადიო-სადგური.
საჭიროა ახალი დინამიური აქტიური მაყურებელი. ჩვენი ეპოქა უკვე იძლევა ასეთს.
აქედან: მაყურებელი როგორც სტადიონი სადაც იმართება აქტიორების დოღი. თეატრის დიდი წრე.
შემდეგ: თეატრი—სანახაობა იძლევა თვით სანახაობას და გართობას.
აქედან: გართობა—კომედია. სანახაობა—ტრაგედია.
ტრაგედია + კომედია = სანახაობა. სანახაობა—ბუფფონადა.

**ბუფფონადა**—უმაღლესი ხარისხი ტრაგედიის
ბუფფონადა როგორც სინთეზი ტრაგედია-სანახაობის. კომედია—გართობის.
**უმაღლესი ფორმა თანამედროვე დინამიურ ტრაგედიის არის ბუფფონადა**
და არა მისტერია.
ჩარლი ჩაპლინის „კოტელოკი“. ტროსტი. ფეხსაცმელი. სიარული.

## ედდი პოლო
## გარი პილ
## მერი პიკფორდ
## ჯეკი კოგან

და თბილისისთვის ჯერ უცნობი

# ჰაროლდ ლოიდ
# რუდოლფ ვალენტინო

გაკინომატოგრაფიება თეატრის.

# თეატრი აბსურდი

აქტიორი ანგალი ამ სიტყვის უმაღლეს მნიშვნელობით.

**რეაბილიტაცია ანგალიზმის** მოდის თეატრიდან.

აქტიორი—მოჩხუბარი. ატლეტი. ავარა. ბანდიტი. ავანტიურისტი. ავაზაკი.

მომავალი გმირი სცენის: შოფფერი და პილოტი. რეკვიზიტი: ფრენჩი. ბრიჯი. ფეხსახვევი. კეპი შუშებით.

კინო-ტრიუკები. სატირა. დეტექტივი. ცირკის ექსცენტრიზმი. და აკრობატიკა.

ჩიკაგო – მუზიკ—ჰოლლ.

# ჟან კოკტო —

რეჟისორი.
პოეტი.
აქტიორი.
მოცეკვავე.
მხატვარი.
მუსიკოსი.

„პირველი პერსონა პარიზის“...

ჯაზ-ბანდ. ფორეგგერის „მანქანების ცეკვა“. მექანიზაცია რიტმის.

ნიუ-იორკ: იპოდრომში.

# თეატრი აბსურდი





ეროვნული
ბიბლიოთეკა